



რეგისტრაციის N 2/36

მარტვილის მუნიციპალიტეტი

მარტვილის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ფინანსური ანგარიშგებისა და 2016 წელს „წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსების“ (პროგრამის კოდი: 01.00) პროგრამის ფარგლებში განეული ხარჯების აუდიტის ანგარიში

ფინანსური და შესაბამისობის აუდიტის ანგარიში

სახელმწიფო აუდიტის სამსახური



„პ ა მ ტ კ ი ც ე ბ“

ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების

ბიუჯეტების აუდიტის დეპარტამენტის

უფროსი

გიორგი მამრიკიშვილი

09 01 2018 წელი

ეგზ. №1

მარტვილის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ფინანსური ანგარიშგების ფინანსური აუდიტის და 2016 წელს „წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსების“ (პროგრამის კოდი: 01.00) პროგრამის ფარგლებში გაწეული ხარჯების შესაბამისობის აუდიტის ანგარიში № 2/36

2018 წელი

სარჩევი

შემაჯამებელი მიმოხილვა.....	3
რეკომენდაციები.....	4
შესავალი	5
ძირითადი ტექსტი.....	8
1. წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება (01.00).....	8
1.1. საქონელი და მომსახურება	10
1.1.1. შტატგარეშე მოსამსახურეები	10
1.1.2. სატრანსპორტო საშუალებები/საწვავი	13
1.1.3. საკრებულოს წევრების ხარჯების ანაზღაურება	16
1.2. სხვა ხარჯები.....	18
1.2.1. სასამართლო გადაწყვეტილებით ანაზღაურებული თანხები	18
2. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის დასკვნა ფინანსურ ანგარიშგებაზე	21
2.1 უარყოფითი მოსაზრება 2016 წლის ფინანსური ანგარიშგების შესახებ	21
2.2. უარყოფითი მოსაზრების საფუძვლები	22
2.2.1 ორგანიზაციის ბალანსი	22
2.2.2 ანგარიში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით.....	28
2.2.3 ანგარიში ფინანსური აქტივებითა და ვალდებულებებით საკასო ოპერაციების შესახებ.....	31
2.2.4 ანგარიში წმინდა ღირებულების შესახებ.....	31
2.2.5 ანგარიში არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ	32
2.2.6 ინფორმაცია არაფინანსური აქტივების ანალიზური აღრიცხვის მონაცემებზე	32
2.2.7 ბალანსის დანართი ფორმები.....	33
2.2.8 ინვენტარიზაცია	33
3. შიდა აუდიტი	34
4. მარტილის მუნიციპალიტეტში წინა პერიოდში ჩატარებული აუდიტის შედეგად გამოვლენილი დარღვევა-ნაკლოვანებების გამოსწორების მდგომარეობა	36
აუდიტის ანგარიშის გასაჩივრების წესი	41
აუდიტის ჯგუფის წევრების ხელმოწერები	41

შემაჯამებელი მიმოხილვა

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა მარტვილის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ფინანსური ანგარიშგების ფინანსური აუდიტი და 2016 წელს „წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსების“ (პროგრამის კოდი: 01.00) პროგრამის ფარგლებში გაწეული ხარჯების შესაბამისობის აუდიტი. აუდიტის შედეგად გამოვლინდა შემდეგი დარღვევა-ნაკლოვანებები:

- ❖ მუნიციპალიტეტმა შტატგარეშე მოსამსახურეები დაიქირავა მუდმივ ამოცანათა შესასრულებლად, რაც არ შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას. ასევე, დაქირავებულების რაოდენობა აღემატება თვითმმართველობის კოდექსით დადგენილ ზღვრულ ნორმას.
- ❖ სამსახურებრივი უფლებამოსილების განსახორციელებლად გამოყენებული სატრანსპორტო საშუალებების რაოდენობა რამდენჯერმე აღემატება მთავრობის დადგენილებით რეკომენდებულ ზღვრულ ოდენობას. რამდენიმე შემთხვევაში საწვავი გაცემულია საკრებულოს ფრაქციასა და კომისიაზე მათი გაუქმების შემდეგ, ასევე თანამშრომლებზე მათი შვებულებაში ყოფნის დროს. შედეგად, მუნიციპალიტეტმა ტრანსპორტის შენახვისა და ექსპლუატაციის ხარჯის გაწევისას არ დაიცვა საბიუჯეტო სახსრების რაციონალური და გონივრული ხარჯვის პრინციპები.
- ❖ მუნიციპალიტეტის საკრებულოს არათანამდებობის პირებზე უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯები ანაზღაურებულია მოქმედი კანონმდებლობის დარღვევით, შესაბამისი ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტების წარმოდგენის გარეშე.
- ❖ სასამართლო გადაწყვეტილებით დადგინდა, რომ მარტვილის მუნიციპალიტეტმა უკანონოდ გაათავისუფლა სამსახურიდან საჯარო მოსამსახურეები, აღნიშნული პირები აღადგინეს გამგეობის შესაბამის თანამდებობებზე და მათზე გაიცა იძულებითი განაცდური, საადვოკატო მომსახურების და სხვა ხარჯები. მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობის მიერ, კანონმდებლობის შეუსაბამოდ მიღებული გადაწყვეტილების შედეგად, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან დამატებითი ხარჯები გაიწია.
- ❖ მუნიციპალიტეტის მიერ შედგენილი ფინანსური ანგარიშგების შესწავლისას გამოვლინდა ხარვეზები, რომლებიც არსებით და ყოვლისმომცველ გავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი მონაცემების სისწორეზე.

წინამდებარე ანგარიშში განხილულია აუდიტის შედეგად გამოვლინილი დარღვევა-ნაკლოვანებები ვრცელი ფორმით და გაცემულია შესაბამისი რეკომენდაციები.

რეკომენდაციები

მარტვილის მუნიციპალიტეტს:

რეკომენდაცია №1: მუნიციპალიტეტმა (შესაბამისმა პასუხისმგებელმა პირებმა) შრომითი ხელშეკრულებით პირები არ დაიქირაოს კანონმდებლობით დადგენილი ზღვრის დარღვევით, ამასთანავე, ხელშეკრულებები გააფორმოს მხოლოდ დამხმარე ან არამუდმივი ამოცანების შესასრულებლად¹. აღნიშნული ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტში დასაქმებულთა რაოდენობის ოპტიმიზაციას და საბიუჯეტო თანხების რაციონალურ ხარჯვას. ასევე, მუნიციპალიტეტმა უნდა გაატაროს კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებები შესაბამისი პასუხისმგებელი პირების მიმართ, რომელთაც ევალუბოდათ წინა აუდიტის შედეგად უმაღლესი აუდიტორული ორგანოს მიერ იდენტიფიცირებულ დარღვევა-ნაკლოვანებებზე რეაგირება.

რეკომენდაცია №2: ტრანსპორტის შენახვისა და ექსპლუატაციის თანხები მუნიციპალიტეტის მიერ გაწეულია საბიუჯეტო ასიგნებების ეკონომიური და რაციონალური ხარჯვის ვალდებულების დაცვის გარეშე. აღნიშნული საკითხის დასარეგულირებლად მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითმა ორგანომ აღმასრულებელ ორგანოსთან შეთანხმებით, შეიმუშაოს წესი სამსახურებრივი უფლებამოსილების განსახორციელებლად საჭირო ავტოპარკის გადანაწილების, საწვავის ხარჯვის, სატრანსპორტო საშუალებების კლასიფიკაციისა და შესყიდვის შესახებ. აღნიშნული დოკუმენტი, რომელიც დაფუძნებული იქნება საუკეთესო პრაქტიკაზე, ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტის სამსახურებრივი უფლებამოსილების განსახორციელებლად საჭირო ავტოპარკის ოპტიმიზაციას და მოვლა-შენახვის ხარჯების რაციონალიზაციას. შემუშავებული წესი თავსებადი უნდა იყოს საქართველოს მთავრობის დადგენილებასთან. ასევე, მუნიციპალიტეტმა უნდა გაატაროს კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებები შესაბამისი პასუხისმგებელი პირების მიმართ, რომლებსაც ევალუბოდათ წინა აუდიტის შედეგად უმაღლესი აუდიტორული ორგანოს მიერ იდენტიფიცირებულ დარღვევა-ნაკლოვანებებზე რეაგირება.

რეკომენდაცია №3: მუნიციპალიტეტმა (შესაბამისმა პასუხისმგებელმა პირებმა) საკრებულოს წევრების უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებით, ხარჯის ანაზღაურება არ მოახდინოს შესაბამისი ხარჯის გაწევის დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარმოდგენის გარეშე. მნიშვნელოვანია, რომ საკრებულოს წევრების უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების წესი და პრაქტიკა, სრულ შესაბამისობაში იყოს მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებთან. აღნიშნული უზრუნველყოფს საკრებულოს წევრის არაანაზღაურებადი საქმიანობის შესახებ, ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით დადგენილი პრინციპის დაცვას, ასევე საბიუჯეტო სახსრების დასაბუთებულ ხარჯვას.

რეკომენდაცია №4: სამართლიანი და უტყუარი ფინანსური ანგარიშგების მომზადების მიზნით, მარტვილის მუნიციპალიტეტმა (შესაბამისმა პასუხისმგებელმა პირებმა) გონივრულ ვადაში მოაწესრიგოს საბუღალტრო აღრიცხვა და ასახოს შესაბამისი ინფორმაცია ფინანსურ

¹ „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მოქმედი რედაქციით.

ანგარიშგებაში აუდიტის ანგარიშში აღნიშნული შენიშვნების გათვალისწინებით. მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობამ უზრუნველყოს ისეთი მექანიზმის დანერგვა, რომ სტრუქტურულ ერთეულებს ჰქონდეთ მუდმივი და გამართული კომუნიკაცია, რათა საბუღალტრო სამსახურს დროულად და სრულად მიეწოდოს ბუღალტრული აღრიცხვისათვის აუცილებელი ინფორმაცია და დოკუმენტები. შედეგად, ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებს საშუალება ექნებათ მიიღონ სრულყოფილი ინფორმაცია მარტვილის მუნიციპალიტეტის ფინანსური მდგომარეობის შესახებ.

რეკომენდაცია №5: მუნიციპალიტეტმა (შესაბამისმა პასუხისმგებელმა პირებმა) განახორციელოს ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაცია კანონმდებლობით დადგენილი წესით, რაც უზრუნველყოფს აქტივებისა და ვალდებულებების ფაქტობრივი ნაშთების დადგენას და მათ შედარებას ორგანიზაციის სააღრიცხვო მონაცემებთან. შედეგად, შესაძლებელი იქნება ინვენტარიზაციის შედეგების (მეტობა ან დანაკლისი) დადგენა და შესაბამისი მატერიალურად პასუხისმგებელი პირების გამოვლენა.

შესავალი

აუდიტის საგანი

მარტვილის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ფინანსური ანგარიშგების ფინანსური აუდიტი და 2016 წელს „წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსების“ (პროგრამის კოდი: 01.00) პროგრამის ფარგლებში გაწეული ხარჯების შესაბამისობის აუდიტი.

აუდიტის მიზანი

ა) დასაბუთებული რწმუნების მოპოვება იმის შესახებ, ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა განზრახ ან უნებლიე შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას, რაც აუდიტორს შესაძლებლობას მისცემს, გამოთქვას მოსაზრება აუდიტის ობიექტის ფინანსური ანგარიშგების სისწორეზე - შედგენილია თუ არა ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის შესაფერისი საფუძვლების შესაბამისად;

ბ) აუდიტის საგნის მომწესრიგებელ კანონმდებლობასთან და სხვა მარეგულირებელ ნორმებთან (შემდგომში - კრიტერიუმი) შესაბამისობის შესახებ დასკვნების გაკეთება, რეკომენდაციების შემუშავება და აუდიტის ანგარიშის გაცემა.

აუდიტის ანგარიშში, მათი გამოვლენის შემთხვევაში, აისახება:

- ❖ მოქმედ კანონმდებლობასთან და მარეგულირებელ ნორმებთან შეუსაბამობა - ფინანსური ანგარიშგების მომზადების და წარდგენის, საქმიანობის წარმართვის, საჯარო რესურსების გამოყენების და საბიუჯეტო პროცესის მარეგულირებელი საკანონმდებლო და სხვა ნორმატიული აქტების მოთხოვნების დაუცველობა.

- ❖ საქმიანობის არაეფექტიანობა - აუდიტის ობიექტის მიერ ეკონომიურობისა და პროდუქტიულობის პრინციპების დაუცველობა.
- ❖ შიდა კონტროლისა და შიდა აუდიტის ფუნქციის სისუსტეები ან/და ნაკლოვანებები.
- ❖ ნებისმიერი სხვა საკითხი, რომელსაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს საჯარო ფინანსების მართვის გასაუმჯობესებლად ან/და საჯარო სექტორში ერთგვაროვანი პრაქტიკის დასაწერად.

აუდიტის მასშტაბი

აუდიტის მასშტაბად განისაზღვრა მარტვილის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ფინანსური ანგარიშგების და 2016 წელს „წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსების“ პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტის საქმიანობისა და ფინანსური რესურსების ხარჯვის მოქმედ კანონმდებლობასთან და სხვა მარეგულირებელ ნორმებთან შესაბამისობა. მარტვილის მუნიციპალიტეტის 2016 წლის „წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსების“ პროგრამის აუდიტმა მოიცვა მუნიციპალიტეტის მიერ 2016 წელს აღნიშნული პროგრამის ფარგლებში გაწეული გადასახდელები, ჯამში 2 867.2 ათასი ლარი.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

აუდიტის ობიექტის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია განხორციელებული საქმიანობის მოქმედი კანონმდებლობით და სხვა მარეგულირებელი ნორმებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობაზე. ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია სახელმწიფო აუდიტის სამსახურისთვის აუდიტის მიზნებიდან გამომდინარე მოწოდებული ინფორმაციის სისრულესა და სისწორეზე. ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ასევე მოიცავს შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვას და შენარჩუნებას, რაც საჭიროა საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის პროცესის იმგვარი წარმართვისათვის, რომელიც არ შეიცავს შეცდომით ან განზრახ არამართლზომიერი ქმედებით (თაღლითობით) გამოწვეულ არსებით კანონშესაბამოებს.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

აუდიტორი პასუხისმგებელია აუდიტის ანგარიშში ასახული ფაქტობრივი გარემოებების სისწორესა და მიზანშეწონილობაზე. აუდიტი წარიმართა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI 1000-1810; 4000) შესაბამისად, რაც გულისხმობს პროფესიული ეთიკის მოთხოვნებთან შესაბამისობის დაცვას, ასევე აუდიტის დაგეგმვასა და ჩატარებას გონივრული რწმუნების მისაღებად იმის შესახებ, რომ აუდიტის ობიექტის 2016 წლის ფინანსური ანგარიშგება და ობიექტის მიერ 2016 წელს „წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსების“ პროგრამის ფარგლებში განხორციელებული საქმიანობა არ შეიცავს მოქმედ საკანონმდებლო და სხვა მარეგულირებელ ნორმებთან არსებითი შეუსაბამობის ფაქტებს.

აუდიტი ითვალისწინებს პროცედურების ჩატარებას საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებების მოსაპოვებლად აუდიტორული დასკვნის გამყარების მიზნით. პროცედურები შეირჩევა აუდიტორული განსჯის საფუძველზე, რაც მოიცავს არსებითი

რისკების შეფასებას. ჩვენს მიერ განხორციელებული აუდიტორული პროცედურები შესაფერისია არსებული გარემოებისთვის.

გამოყენებული კრიტერიუმები²

- ❖ ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი;
- ❖ საქართველოს კანონი „საჯარო სამსახურის შესახებ“;
- ❖ საქართველოს კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“;
- ❖ საქართველოს კანონი „ნორმატიული აქტების შესახებ“;
- ❖ საქართველოს კანონი „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“;
- ❖ საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის №70 ბრძანებულება „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ“ დებულების დამტკიცების თაობაზე;
- ❖ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანება „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“;
- ❖ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანებით დამტკიცებული „ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ინსტრუქცია;
- ❖ „ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის №364 ბრძანება;
- ❖ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის №605 ბრძანება „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესის შესახებ“;
- ❖ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 6 თებერვლის №121 დადგენილება „სახელმწიფო ავტოპარკის გადანაწილების, კლასიფიკაციისა და სამსახურებრივი ავტომანქანის შესყიდვის ან ჩანაცვლების წესის დამტკიცების შესახებ“.

ზოგადი ინფორმაცია აუდიტის ობიექტის შესახებ

მარტვილის მუნიციპალიტეტი არის დამოუკიდებელი იურიდიული პირი, რომელსაც აქვს თვითმმართველობის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები, განკარგავს საკუთარ ქონებასა და ბიუჯეტს. მუნიციპალიტეტი აერთიანებს 21 ადმინისტრაციულ ერთეულს. მოსახლეობის რიცხოვნობა შეადგენს 33.1 ათასს კაცს³. მუნიციპალიტეტის

² 2015-2016 წლებში მოქმედი რედაქციის მიხედვით

³ 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით - www.geostat.ge

ტერიტორია მოიცავს 880.6 კვ.კმ-ს. ადმინისტრაციული ცენტრია - ქალაქი მარტვილი. მარტვილის მუნიციპალიტეტი საქმიანობას წარმართავს საქართველოს კონსტიტუციის, „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ ევროპული ქარტიის“, ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის, საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის, საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების მიხედვით.

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი. მარტვილის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შესრულების წლიურ ანგარიშზე დაყრდნობით, 2016 წელს შემოსულობებმა - 10 486.9 ათასი ლარი, ხოლო გადასახდელებმა 11 269.0 ათასი ლარი შეადგინა. ნაშთის გამოყენება 782.1 ათასი ლარია.

ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტები 2013 წლიდან პროგრამულად იგეგმება. პროგრამა წარმოადგენს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტის ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებების ერთობლიობას, რომლებიც დაჯგუფებულია მსგავსი შინაარსის მიხედვით და ხორციელდება გრძელვადიან პერიოდში.

შესაბამისობის აუდიტმა მოიცვა 2016 წლის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება 2 867.2 ათასი ლარის ოდენობით.

ძირითადი ტექსტი

1. წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება (01.00)⁴

პროგრამა მოიცავს ისეთ ღონისძიებებს, რომლებიც ადმინისტრაციული ხასიათისაა და ხელს უწყობს მუნიციპალიტეტის მართვის ორგანოების გამართულ ფუნქციონირებას. პროგრამიდან ფინანსდება საკრებულოსა და გამგეობის შენახვის ხარჯები, მათ შორის, თანამდებობრივი სარგო, პრემია, დანამატი და სხვ. პროგრამა ასევე მოიცავს არაფინანსური აქტივების ზრდას, გრანტებსა და სხვა ხარჯებს.

ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის მიხედვით, „წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსების“ პროგრამის ფარგლებში, მარტვილის მუნიციპალიტეტმა 2016 წელს დახარჯა 2 867.2 ათასი ლარი, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელების 25%. პროგრამა მოიცავს ორ ქვეპროგრამას:

- ❖ მუნიციპალიტეტის საკრებულოს დაფინანსება (პროგრამის კოდი: 01 01)
- ❖ მუნიციპალიტეტის გამგეობის დაფინანსება (პროგრამის კოდი: 01 02)

2016 წელს მუნიციპალიტეტის საკრებულოს საქმიანობა დაფინანსდა 937.3 ათასი ლარით, ხოლო გამგეობის - 1 929.9 ათასი ლარით. პროგრამაზე გაწეული გადასახდელები მუხლობრივად ჩაშლილია №1 ცხრილში.


⁴ წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების საქმიანობა, გარდა 01.00 პროგრამისა, მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში დაფინანსებულია აგრეთვე 02.00 პროგრამით. კერძოდ, 2016 წელს პროგრამის გადასახდელებმა სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურისათვის 70.9 ათასი ლარი შეადგინა.

ცხრილი №1: 2016 წელს 01.00 პროგრამაზე გაწეული გადასახდელები (ათასი ლარი)

გადასახდელები	დაზუსტებული გეგმა	საკასო ხარჯი
ხარჯები	2 718.2	2 673.9
შრომის ანაზღაურება	1 786.7	1 780.5
საქონელი და მომსახურება	602.7	566.6
სოციალური უზრუნველყოფა	8.9	8.9
სხვა ხარჯები	319.9	318.0
არაფინანსური აქტივების ზრდა	195.5	193.3
ფინანსური აქტივების ზრდა	0	0
ვალდებულებების კლება	0	0
ჯამი	2 913.7	2 867.2

ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის მიხედვით, 2016 წელს შრომის ანაზღაურების სახით გაიცა 1 780.5 ათასი ლარი. მათ შორის, თანამდებობრივი სარგოა 1 576.0 ათასი ლარი და პრემია - 204.5 ათასი ლარი. წლის განმავლობაში დანამატი არ გაცემულა. 2016 წელს პრემია გაიცა 3-ჯერ. „საქონელი და მომსახურების“ მუხლიდან დაიხარჯა 566.6 ათასი ლარი და თანხები გადანაწილდა შემდეგი მიმართულებებით:

დიაგრამა №1. „საქონლისა და მომსახურების“ მუხლიდან გაწეული ხარჯები



„სოციალური უზრუნველყოფის“ მუხლიდან დაფინანსდა კომპენსაციები, დროებითი შრომისუუნარობისა და დეკრეტული შვებულების გამო.

„სხვა ხარჯებიდან“ გახარჯულია 318.0 ათასი ლარი, რაც მნიშვნელოვნად აღემატება წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს (0.3 ათასი ლარი). აღნიშნული განპირობებულია იმით, რომ 2016 წელს

„სხვა ხარჯების“ მუხლიდან 316.4 ათასი ლარი გაიცა გამგეობის მიერ 2014 წელს თანამდებობიდან გათავისუფლებულ პირებზე, სასამართლო გადაწყვეტილების საფუძველზე⁵.

„არაფინანსური აქტივების ზრდის“ ფარგლებში დასრულდა საკრებულოს შენობის სარეაბილიტაციო სამუშაოები, ასევე შესყიდულია კომპიუტერები, კონდიციონერები, გენერატორი, სკანერი და სხვ.

1.1. საქონელი და მომსახურება

„საქონლისა და მომსახურების“ მუხლით ძირითადად ფინანსდება მხარჯავი დაწესებულების გამართული ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯები და მიმართულია ამა თუ იმ სახის მოთხოვნილებისა და საჭიროებების დაკმაყოფილებისათვის.

2016 წელს „წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსების“ პროგრამის ფარგლებში, „საქონლისა და მომსახურების“ მუხლიდან დაფინანსებულია შტატგარეშე მოსამსახურეთა ანაზღაურება, კავშირგაბმულობისა და კომუნალური ხარჯები, წარმომადგენლობითი ხარჯები, საწვავის ხარჯი, შენობა-ნაგებობების დაცვის ხარჯი, საკრებულოს არაანაზღაურებადი წევრების ხარჯები და სხვ.

1.1.1. შტატგარეშე მოსამსახურეები

შტატგარეშე მოსამსახურეების დაქირავება

კრიტერიუმი: მუნიციპალიტეტს, თავისი უფლებამოსილებების განხორციელებისას, გარდა შტატით გათვალისწინებული პირებისა, შეუძლია დაიქირაოს შტატგარეშე მოსამსახურეები. მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად⁶, შტატგარეშე მოსამსახურე არის პირი, რომელიც დანიშნით ან შრომითი ხელშეკრულებით გარკვეული ვადით მიიღება სამსახურში, არამუდმივ ამოცანათა შესასრულებლად. მარტვილის მუნიციპალიტეტის გამგეობასა და შტატგარეშე მოსამსახურეს შორის ურთიერთობები და უფლება-მოვალეობები რეგულირდება მხარეებს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით შრომითი ურთიერთობის შესახებ.

ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის მიხედვით⁷, მუნიციპალიტეტის შტატგარეშე მოსამსახურეთა რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს გამგეობისა და საკრებულოს აპარატის საჯარო მოსამსახურეთა საშტატო რიცხოვნობის 10%-ს.

გარემოება: 2016 წელს მარტვილის მუნიციპალიტეტმა (შესაბამისმა პასუხისმგებელმა პირებმა) 12 შემთხვევაში ხელშეკრულებები გააფორმა და მოსამსახურეები დაიქირავა შემდეგი მოვალეობების შესასრულებლად:

- ❖ სპეციალისტი ბანძის ადმინისტრაციულ ერთეულში;
- ❖ ტურიზმის საინფორმაციო ცენტრის სპეციალისტი;

⁵ სასამართლოებისა და სხვა კვაზისასამართლო ორგანოების გადაწყვეტილებით დაკისრებული სააღსრულებლო ხარჯები.

⁶ საქართველოს კანონი „საჯარო სამსახურის შესახებ“, მუხლი 8 (2017 წლის 1 ივლისამდე მოქმედი რეგულაციების შესაბამისად).

⁷ მუხლი 156, პუნქტი 2.

- ❖ კულტურის, განათლების, სპორტის, ტურიზმის, მეგლთა დაცვისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის კონსულტანტი;
- ❖ გამგეობის რწმუნებული ვეტერანთა საკითხებში;
- ❖ ადამიანური რესურსების მართვისა და საქმისწარმოების განყოფილების საქმისწარმოების სპეციალისტი;
- ❖ სოფლის მეურნეობის განვითარების სამსახურის კონსულტანტი;
- ❖ საკრებულოს ეკონომიკის, ინფრასტრუქტურისა და სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების საკითხთა კომისიის კონსულტანტი;
- ❖ საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო და იურიდიულ საკითხთა კომისიის კონსულტანტი;
- ❖ საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის კონსულტანტი;
- ❖ სოფლის მეურნეობის განვითარებისა და ადგილობრივი მნიშვნელობის ბუნებრივი რესურსების მართვის საკითხთა კომისიის კონსულტანტი;
- ❖ ეკონომიკური განვითარების, ქონების მართვისა და სტატისტიკის სამსახურის კონსულტანტი;
- ❖ საკრებულოს აპარატის მდივან-რეფერენტი.

ხელშეკრულებები ძირითადად მოქმედებდა მთელი წლის პერიოდისთვის და შრომით ურთიერთობებს ფაქტობრივად მუდმივ ამოცანათა შესასრულებლად აწესრიგებდა. აღნიშნული წინააღმდეგობაშია შტატგარეშე მოსამსახურის დაქირავების პრინციპთან. მითითებული შრომითი ხელშეკრულებების შესაბამისად, 2016 წელს ანაზღაურების სახით გაიცა 66.2 ათასი ლარი. ასევე, მუნიციპალიტეტსა და შტატგარეშე მოსამსახურეებს შორის გაფორმებული ხელშეკრულებები არ ითვალისწინებდა დაქირავებული პირების წახალისებას, მიუხედავად ამისა, 8 პირზე გაცემულია სარვამარტო პრემია - 1.0 ათასი ლარის ოდენობით.

მარტვილის მუნიციპალიტეტის 2014-2015 წლების შესაბამისობის აუდიტის ანგარიშის მიხედვითაც, მუნიციპალიტეტს შტატგარეშე დაქირავებული ჰყავდა მუდმივ ამოცანათა შესასრულებლად, მიუხედავად ნაკლოვანების დაფიქსირებისა, მუნიციპალიტეტს (შესაბამის პასუხისმგებელ პირებს) სათანადო რეაგირება არ განუხორციელებია სახელმწიფო საფინანსო-ეკონომიკური კონტროლის უმაღლესი ორგანოს მიერ გამოვლენილ/აუდიტის ანგარიშში ასახულ გარემოებაზე და საკითხი არ მოუყვანია მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობაში.

აღსანიშნავია, რომ 2016 წელს, მარტვილის მუნიციპალიტეტის 2014-2015 წლების შესაბამისობის აუდიტის ანგარიშის დამტკიცების შემდეგ, შტატგარეშე მოსამსახურეებზე პრემია არ გაცემულა.

ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის შესაბამისად, შტატგარეშე მოსამსახურეთა რაოდენობა მარტვილის მუნიციპალიტეტისათვის არ უნდა აღემატებოდეს 14 ერთეულს. წარმოდგენილი ინფორმაციის შესწავლით გამოვლინდა, რომ მუნიციპალიტეტის მიერ 2016 წელს არ არის დაცული კოდექსით დაწესებული ზღვარი. კერძოდ, 2016 წლის განმავლობაში დაქირავებულ შტატგარეშეთა რაოდენობა იყო 17-19, რაც აღემატება კანონით დადგენილ ნორმას.

ხარვეზი დაფიქსირებულია მარტვილის მუნიციპალიტეტის 2014-2015 წლების შესაბამისობის აუდიტის ანგარიშშიც, რომლის მიხედვით, 2015 წელს ხელშეკრულებით დაქირავებული პირების რაოდენობა ნაცვლად 13-ისა იყო 16-21. მიუხედავად ამისა, მუნიციპალიტეტს (შესაბამის პასუხისმგებელ პირებს) აუდიტის ანგარიშში დაფიქსირებული ნაკლოვანება არ გამოუსწორებია. ამდენად, მუნიციპალიტეტმა სათანადო რეაგირება არ განახორციელა სახელმწიფო საფინანსო-ეკონომიკური კონტროლის უმაღლესი ორგანოს მიერ გამოვლენილ და აუდიტის ანგარიშში ასახულ გარემოებაზე.

ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით დადგენილი ნორმები, მათ შორის დაქირავებულთა რაოდენობის შესახებ მიმართულია საჯარო ფინანსების რაციონალური ხარჯვისკენ და მისი შესრულება მუნიციპალიტეტისათვის სავალდებულოა. მარტვილის მუნიციპალიტეტის (შესაბამისი პასუხისმგებელი პირების) მიერ არ არის დაცული საქართველოს ორგანული კანონით დადგენილი მოთხოვნები.

ამრიგად, მარტვილის მუნიციპალიტეტმა შტატგარეშე მოსამსახურეები აიყვანა მუდმივ ამოცანათა შესასრულებლად მიუხედავად იმისა, რომ მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად⁸, შტატგარეშე მოსამსახურე გარკვეული ვადით მიიღება სამსახურში, არამუდმივ ამოცანათა შესასრულებლად. მუნიციპალიტეტმა (შესაბამისმა პასუხისმგებელმა პირებმა) შტატგარეშე პირებზე გასცა პრემია, თუმცა ხელშეკრულება არ ითვალისწინებდა წახალისებას. ასევე, მუნიციპალიტეტის (შესაბამისი პასუხისმგებელი პირების) მიერ დარღვეულია თვითმმართველობის კოდექსით დადგენილი მოთხოვნა შტატგარეშეთა რაოდენობის შესახებ, არ არის გამოსწორებული წინა აუდიტის ანგარიშში დაფიქსირებული ნაკლოვანებები.

ტურიზმის საინფორმაციო ცენტრის სპეციალისტი

2016 წელს მუნიციპალიტეტმა დაიქირავა ტურიზმის საინფორმაციო ცენტრის სპეციალისტი, რომელზეც წლის განმავლობაში შრომის ანაზღაურების სახით გაიცა 6.0 ათასი ლარი.

2013 წლის 18 ნოემბერს მარტვილის მუნიციპალიტეტსა და სსიპ - საქართველოს ტურიზმის ეროვნულ ადმინისტრაციას შორის გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი, რომლის მიხედვით, მხარეები შეთანხმდნენ, რომ მუნიციპალიტეტი უზრუნველყოფდა საინფორმაციო ცენტრს შესაბამისი კადრით, გაითვალისწინებდა საინფორმაციო ცენტრის რეკომენდაციას მოსამსახურის თანამდებობაზე დანიშვნისა და გათავისუფლების შესახებ, უზრუნველყოფდა კონტროლს საინფორმაციო ცენტრის თანამშრომლების სამუშაო საათებში სამუშაო ადგილზე ყოფნის უზრუნველსაყოფად. 2016 წლის 23 იანვარს მუნიციპალიტეტმა შტატგარეშე მოსამსახურე დაიქირავა ტურიზმის საინფორმაციო ცენტრის სპეციალისტად. ხელშეკრულების მიხედვით დასაქმებულს დაევა: ტურისტებისთვის ინფორმაციის მიწოდება, ტურისტული მარშრუტების დაგეგმვა, სტატისტიკური ინფორმაციის შეგროვება და შესაბამისი ორგანოსათვის მიწოდება, არსებული და მშენებარე ტურისტული ობიექტების მონიტორინგი, ასევე გამგებლის დავალებების შესრულება. პასუხისმგებელი პირის განმარტებით, 2016 წლის განმავლობაში თავის უფლებამოვალეობებს ახორციელებდა

⁸ საქართველოს კანონი „საჯარო სამსახურის შესახებ“, მუხლი 8 (2017 წლის 1 ივლისამდე მოქმედი რეგულაციების შესაბამისად).

მარტვილის ტურიზმის საინფორმაციო ცენტრში, ხვდებოდა ტურისტებს, ზეპირი ფორმით უგეგმავდა მარშრუტებს, აწვდიდა სხვადასხვა საჭირო ინფორმაციას, მონაწილეობდა უცხოელებთან შეხვედრებში და სხვ.

აღსანიშნავია, რომ ტურიზმის საინფორმაციო ცენტრი სსიპ - საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ტერიტორიული ორგანოა. მიზანშეწონილია, მუნიციპალიტეტმა შეზღუდული ფინანსური რესურსები პირველ რიგში გამოიყენოს საკუთარი საქმიანობის ორგანიზებისა და უფლებამოსილებების განსახორციელებლად.

რეკომენდაცია №1: მუნიციპალიტეტმა (შესაბამისმა პასუხისმგებელმა პირებმა) შრომითი ხელშეკრულებით პირები არ დაიქირაოს კანონმდებლობით დადგენილი ზღვრის დარღვევით, ამასთანავე, ხელშეკრულებები გააფორმოს მხოლოდ დამხმარე ან არამუდმივი ამოცანების შესასრულებლად⁹. აღნიშნული ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტში დასაქმებულთა რაოდენობის ოპტიმიზაციას და საბიუჯეტო თანხების რაციონალურ ხარჯვას. ასევე, მუნიციპალიტეტმა უნდა გაატაროს კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებები შესაბამისი პასუხისმგებელი პირების მიმართ, რომელთაც ევალებოდათ წინა აუდიტის შედეგად უმაღლესი აუდიტორული ორგანოს მიერ იდენტიფიცირებულ დარღვევა-ნაკლოვანებებზე რეაგირება.

1.1.2. სატრანსპორტო საშუალებები/საწვავი

სატრანსპორტო საშუალებების რაოდენობა

კრიტერიუმი: მუნიციპალიტეტს ფუნქციონირებისათვის ესაჭიროება საკუთარი ავტოსატრანსპორტო საშუალებები, რომელთა ზღვრული რიცხოვნობა თვითმმართველობებისათვის კანონმდებლობით დარეგულირებული არ არის. საქართველოს მთავრობამ შეიმუშავა დადგენილება¹⁰, სადაც საბიუჯეტო ორგანიზაციებში განისაზღვრა ავტოსატრანსპორტო საშუალებების ზღვრული ოდენობა, ავტოპარკის გადანაწილების, სატრანსპორტო საშუალებების კლასიფიკაციისა და შესყიდვის ფორმა. დადგენილების მიხედვით, ავტომანქანების ზღვრული ოდენობა დამოკიდებულია საბიუჯეტო ორგანიზაციებში სამტატო რიცხოვნობაზე. მთავრობის დადგენილება თვითმმართველობებისათვის სარეკომენდაციო ხასიათისაა, თუმცა საბიუჯეტო სახსრების რაციონალური და გონივრული ხარჯვიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია მისი შესრულება.

გარემოება: მთავრობის რეკომენდაციის მიხედვით, 2016 წელს მარტვილის მუნიციპალიტეტისათვის სამსახურებრივი უფლებამოსილების განსახორციელებლად რეკომენდებული იყო 6 სამორიგეო ავტომანქანა. 2016 წელს, მარტვილის მუნიციპალიტეტი სამსახურებრივი უფლებამოსილების განსახორციელებლად სარგებლობდა ბალანსზე რიცხული 5 სამორიგეო და თანამშრომლების საკუთრებაში არსებული 59-61 ავტომანქანით¹¹.

⁹ „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მოქმედი რედაქციით.

¹⁰ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 6 თებერვლის №121 დადგენილება „სახელმწიფო ავტოპარკის გადანაწილების, კლასიფიკაციისა და სამსახურებრივი ავტომანქანის შესყიდვის ან ჩანაცვლების წესის დამტკიცების შესახებ“.

¹¹ ორ პირს ავტომანქანა არ ჰყავდა და ლიმიტით განსაზღვრული საწვავი სხვა თანამშრომლის მანქანაზე გაიცემოდა.

მუნიციპალიტეტის მიერ დამტკიცებული საწვავის მოხმარების ლიმიტების შესაბამისად, 2016 წელს აღნიშნულ ავტომანქანებზე დაიხარჯა 75.0 ათასი ლარის, მათ შორის, თანამშრომლების პირად საკუთრებაში არსებულ სატრანსპორტო საშუალებებზე - 62.6 ათასი ლარის ღირებულების საწვავი. ამდენად, მარტვილის მუნიციპალიტეტის მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების განსახორციელებლად გამოყენებული სატრანსპორტო საშუალებების რაოდენობა რამდენჯერმე აღემატება მთავრობის დადგენილებით რეკომენდებულ ზღვრულ ოდენობას. მუნიციპალიტეტმა (შესაბამისმა პასუხისმგებელმა პირებმა) გადაწყვეტილების მიღების პროცესში არ დაიცვა საბიუჯეტო სახსრების რაციონალური და გონივრული ხარჯვის პრინციპები.

აღნიშნული ხარვეზი დაფიქსირებული იყო მუნიციპალიტეტის 2014-2015 წლების შესაბამისობის აუდიტის ანგარიშშიც, რომლის მიხედვით, მუნიციპალიტეტი სარგებლობდა საკუთარი 8 ავტომანქანით და ასევე დამტკიცებული ლიმიტების მიხედვით საწვავი გაცემული იყო 76 პირზე. მიუხედავად აუდიტის ანგარიშში ნაკლოვანების დაფიქსირებისა, მუნიციპალიტეტს (შესაბამის პასუხისმგებელ პირებს) სათანადო რეაგირება არ განუხორციელებია სახელმწიფო საფინანსო-ეკონომიკური კონტროლის უმაღლესი ორგანოს მიერ გამოვლენილ/აუდიტის ანგარიშში ასახულ გარემოებაზე და საკითხი არ მოუყვანია მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობაში.

საწვავის ხარჯვის ლიმიტები

კრიტერიუმი: ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის მიხედვით, მუნიციპალიტეტის ორგანოები და თანამდებობის პირები თავიანთი უფლებამოსილების განსახორციელებლად გამოსცემენ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებს. სამართლებრივი აქტის სახეებია: ნორმატიული აქტი და ინდივიდუალური აქტი. მუნიციპალიტეტში ნორმატიული აქტი გამოიცემა მხოლოდ საკრებულოს დადგენილების სახით.

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით, ნორმატიული აქტი უნდა შეიცავდეს მისი მუდმივი ან დროებითი და მრავალჯერადი გამოყენების ქცევის ზოგად წესს, ხოლო ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი არის ერთჯერადი გამოყენების და უნდა შეესაბამებოდეს ნორმატიულ აქტს. დაუშვებელია ნორმატიული შინაარსის სამართლებრივი აქტის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტის სახით მიღება (გამოცემა).

გარემოება: მარტვილის მუნიციპალიტეტში, 2016 წელს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში და დასაქმებულების სარგებლობაში არსებული ტრანსპორტისთვის საწვავის გამოყოფის საფუძველია საკრებულოს მიერ გამოცემული ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები - განკარგულებები¹². 2016 წელს მუნიციპალიტეტის მიერ ავტომანქანებზე გაიხარჯა სულ 117.4 ათასი ლარის საწვავი.

¹² საკრებულოს 2015 წლის 25 დეკემბრის №88 განკარგულება, 2016 წლის 22 იანვრის №4 და №5 განკარგულებები, 2016 წლის 9 აგვისტოს №51 განკარგულება, 2016 წლის 8 სექტემბრის №60 განკარგულება, 2016 წლის 27 ოქტომბრის №62 განკარგულება.

მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ გამოცემული განკარგულებები საწვავის ლიმიტების შესახებ გამოიყენებოდა დროებით და მრავალჯერადად. კერძოდ განკარგულებების მიხედვით საწვავი გაიცემოდა მთელი წლის განმავლობაში. ასეთი შინაარსის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი მიეკუთვნება ნორმატიული აქტების კატეგორიას¹³.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ გამოცემული განკარგულება ადგენდა საწვავის გაცემის მრავალჯერადი გამოყენების წესს და თავისი შინაარსით წარმოადგენდა ნორმატიულ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს. კანონმდებლობის მიხედვით, დაუშვებელია ნორმატიული შინაარსის სამართლებრივი აქტის ინდივიდუალური აქტის სახით მიღება.

ამდენად, მუნიციპალიტეტმა (შესაბამისმა პასუხისმგებელმა პირებმა) საწვავის გაცემის პროცესის დარეგულირებისას არ გაითვალისწინა კანონმდებლობის მოთხოვნები და არ უზრუნველყო მისი მიღება ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის სახით. ამდენად, სამართლებრივი აქტი, რომლის საფუძველზეც 2016 წლის განმავლობაში გაიხარჯა 117.4 ათასი ლარის საწვავი, თავისი შინაარსით არ შეესაბამება კანონმდებლობით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

საწვავის გაცემათა ცალკეული შემთხვევები

2016 წელს საკრებულოში შექმნილი იყო მიწის საკუთრების აღიარების კომისია, რომელიც 2016 წლის 9 აგვისტოს გაუქმდა. ამასთანავე, მუნიციპალიტეტმა წარმოადგინა ინფორმაცია, რომლის მიხედვით აღნიშნულმა კომისიამ 2016 წლის 21 ივლისის შემდეგ ფაქტობრივად შეწყვიტა საქმიანობა და რაიმე აქტივობა აღარ განუხორციელებია, არ ჩატარებულა სხდომები, კომისიის წევრები არ გასულან ობიექტების დასათვალიერებლად. მიუხედავად ამისა, 2016 წლის 21 ივლისის შემდეგ აღნიშნული კომისიის თავმჯდომარის კუთვნილ ავტომანქანაზე გაიხარჯა 201.6 ლიტრი საწვავი, მათ შორის, კომისიის გაუქმების (9 აგვისტო) შემდეგ - 42 ლიტრი.

გარდა ამისა, მუნიციპალიტეტის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, 2016 წლის 4 ივლისს გაუქმდა ფრაქცია „გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობა“, მიუხედავად ამისა, 5, 9 და 10 ივლისს, გაუქმებული ფრაქციის თავმჯდომარის ავტომანქანაზე გაიხარჯა საწვავი 30 ლიტრის ოდენობით.

2016 წელს 323 ლიტრი საწვავი გაიხარჯა 7 პირის კერძო საკუთრებაში არსებულ ავტომანქანებზე, აღნიშნული პირების შვებულებაში ყოფნის დროს.

ხარჯვის რაციონალურობის პრინციპიდან გამომდინარე, მუნიციპალიტეტს საწვავი უნდა გაეცა საჭიროების შემთხვევაში, მხოლოდ სამსახურებრივი უფლებამოსილების განსახორციელებლად. მიუხედავად ამისა, მუნიციპალიტეტმა (შესაბამისმა პასუხისმგებელმა პირებმა) საწვავი გასცა საკრებულოს ფრაქციასა და კომისიაზე მათი გაუქმების შემდეგაც. ასევე საწვავი გასცა თანამშრომლებზე, მათი შვებულებაში ყოფნის დროსაც. შედეგად, მუნიციპალიტეტმა

¹³ საქართველოს კანონი „ნორმატიული აქტების შესახებ“, მუხლი 2.

(შესაბამისმა პასუხისმგებელმა პირებმა) არ დაიცვა ხარჯვის რაციონალურობის პრინციპი. მუნიციპალიტეტის მიერ ამგვარად გაცემული საწვავი არამიზნობრივ ხარჯს წარმოადგენს.

რეკომენდაცია №2: ტრანსპორტის შენახვისა და ექსპლუატაციის თანხები მუნიციპალიტეტის მიერ გაწეულია საბიუჯეტო ასიგნებების ეკონომიური და რაციონალური ხარჯვის ვალდებულების დაცვის გარეშე. აღნიშნული საკითხის დასარეგულირებლად მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითმა ორგანომ აღმასრულებელ ორგანოსთან შეთანხმებით, შეიმუშაოს წესი სამსახურებრივი უფლებამოსილების განსახორციელებლად საჭირო ავტოპარკის გადანაწილების, საწვავის ხარჯვის, სატრანსპორტო საშუალებების კლასიფიკაციისა და შესყიდვის შესახებ. აღნიშნული დოკუმენტი, რომელიც დაფუძნებული იქნება საუკეთესო პრაქტიკაზე, ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტის სამსახურებრივი უფლებამოსილების განსახორციელებლად საჭირო ავტოპარკის ოპტიმიზაციას და მოვლა-შენახვის ხარჯების რაციონალიზაციას. შემუშავებული წესი თავსებადი უნდა იყოს საქართველოს მთავრობის დადგენილებასთან. ასევე, მუნიციპალიტეტმა უნდა გაატაროს კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებები შესაბამისი პასუხისმგებელი პირების მიმართ, რომელთაც ევალებოდათ წინა აუდიტის შედეგად უმაღლესი აუდიტორული ორგანოს მიერ იდენტიფიცირებულ დარღვევა-ნაკლოვანებებზე რეაგირება.

1.1.3. საკრებულოს წევრების ხარჯების ანაზღაურება

კრიტერიუმი: ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის შესაბამისად, მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, გარდა თანამდებობის პირებისა, თავის უფლებამოსილებას ახორციელებს უსასყიდლოდ¹⁴. მას შეიძლება აუნაზღაურდეს უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯები, როგორიცაა საკრებულოს სხდომებზე დასწრებისთვის, კომისიებისა და სამუშაო ჯგუფების სხდომებში მონაწილეობისათვის, ასევე საკრებულოსა და საკრებულოს თავმჯდომარის დავალებების შესრულებისათვის ყოველთვიურად გაწეული ხარჯები. გამგეობამ ხარჯი უნდა აანაზღაუროს საკრებულოს წევრის მიერ წარმოდგენილი ფაქტობრივად გაწეული ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტების საფუძველზე.

მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ხარჯის დამადასტურებელ დოკუმენტს წარმოადგენს პირველადი აღრიცხვის დოკუმენტი, რომელშიც აღინიშნება დოკუმენტის (ფორმის) დასახელება, შედგენის თარიღი, სამეურნეო ოპერაციის შინაარსი, რაოდენობა, ფასი, თანხა, სამეურნეო ოპერაციაში მონაწილე მხარეთა დასახელება, დოკუმენტის სწორად გაფორმებისათვის პასუხისმგებელ პირთა ხელმოწერები და სხვა მონაცემები¹⁵.

გარემოება: მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს არაანაზღაურებადი წევრების ხარჯები 2016 წელს გაიცემოდა საკრებულოს 2015 წლის 26 თებერვლის №10 დადგენილების

¹⁴ „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მუხლი 41, პუნქტი 1.

¹⁵ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბერს №1321 ბრძანებით დამტკიცებული „ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ ინსტრუქციის“ მე-5 მუხლი.

საფუძველზე¹⁶, დადგენილების შესაბამისად, უფლებამოსილების განხორციელების მიზნით გაწეული ხარჯების ანაზღაურების ზღვრულ ოდენობად განისაზღვრა 380 ლარი. საკრებულოს თავმჯდომარე უფლებამოსილია შეუმციროს საკრებულოს კონკრეტულ წევრს მისაღები თანხის ოდენობა საკრებულოს, საკრებულოს კომისიის და დროებითი სამუშაო ჯგუფის სხდომების არასაპატიო მიზეზით გაცდენისათვის.

საკრებულოს არათანამდებობის პირებს, თვითმმართველობის კოდექსის შესაბამისად, ეძლევათ არა ფიქსირებული გასამრჯელო, არამედ აუნაზღაურდებათ უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯები. შესაბამისად, თანხის გაცემის საფუძველი უნდა იყოს ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, 2016 წელს მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს არაანაზღაურებად წევრებს, ხარჯების ანაზღაურების სახით მიღებული აქვთ 85.7 ათასი ლარი. მუნიციპალიტეტმა ვერ წარმოადგინა დოკუმენტური მტკიცებულებები საკრებულოს წევრების ხარჯების დასადასტურებლად.

შესაბამისად, მარტვილის მუნიციპალიტეტის მიერ საკრებულოს წევრებზე თანხების გაცემა ვერ ჩაითვლება წარმოშობილი ხარჯების ანაზღაურებად, რადგან საფუძველად არ უდევს ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტი. მუნიციპალიტეტი არ ფლობს ინფორმაციას, ნამდვილად გაწეულ იქნა თუ არა ხარჯები, რა ოდენობისაა ის და რა დანიშნულებით იქნა გაწეული.

ამრიგად, მუნიციპალიტეტმა (შესაბამისმა პასუხისმგებელმა პირებმა) თანხები ანაზღაურა ხარჯის დამადასტურებელი პირველადი დოკუმენტაციის გარეშე, შედეგად დაარღვია თვითმმართველობის კოდექსის მოთხოვნები და 85.7 ათასი ლარი გაიცა საბიუჯეტო პროცესთან დაკავშირებული მარეგულირებელი საკანონმდებლო ნორმების შეუსაბამოდ.

ხარვეზი დაფიქსირებული იყო 2014-2015 წლების შესაბამისობის აუდიტის ანგარიშში. კერძოდ, 2015 წელს საკრებულოს წევრებისთვის, რომლებიც არ არიან თანამდებობის პირები, ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტაციის გარეშე ანაზღაურებული იყო 67.9 ათასი ლარი. მიუხედავად აუდიტის ანგარიშში ნაკლოვანების დაფიქსირებისა, მუნიციპალიტეტს (შესაბამის პასუხისმგებელ პირებს) სათანადო რეაგირება არ განუხორციელებია სახელმწიფო საფინანსო-ეკონომიკური კონტროლის უმაღლესი ორგანოს მიერ გამოვლენილ/აუდიტის ანგარიშში ასახულ გარემოებაზე და საკითხი არ მოუყვანია მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობაში.

რეკომენდაცია №3: მუნიციპალიტეტმა (შესაბამისმა პასუხისმგებელმა პირებმა) საკრებულოს წევრების უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებით, ხარჯის ანაზღაურება არ მოახდინოს შესაბამისი ხარჯის გაწევის დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარმოდგენის გარეშე. მნიშვნელოვანია, რომ საკრებულოს წევრების უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების წესი და პრაქტიკა, სრულ შესაბამისობაში იყოს მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებთან. აღნიშნული უზრუნველყოფს საკრებულოს წევრის

¹⁶ „მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების (გარდა თანამდებობის პირებისა) უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების წესის დამტკიცების შესახებ“.

არაანაზღაურებადი საქმიანობის შესახებ, ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით დადგენილი პრინციპის დაცვას, ასევე საბიუჯეტო სახსრების დასაბუთებულ ხარჯვას.

1.2. სხვა ხარჯები

„სხვა ხარჯების“ მუხლით როგორც წესი ფინანსდება სხვადასხვა მიზნით განხორციელებული ტრანსფერები, აგრეთვე ისეთი ხარჯვითი ოპერაციები, რომლებიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული. ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის მიხედვით, მარტვილის მუნიციპალიტეტში, 2016 წელს „წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსების“ პროგრამის ფარგლებში, „სხვა ხარჯების“ მუხლიდან დაფინანსდა „სასამართლოებისა და სხვა კვაზი-სასამართლო ორგანოების გადაწყვეტილებით დაკისრებული სააღსრულებლო ხარჯი“ და „მოსაკრებლები“ 318.0 ათასი ლარის ოდენობით.

1.2.1. სასამართლო გადაწყვეტილებით ანაზღაურებული თანხები

კრიტერიუმი: კანონმდებლობის მიხედვით¹⁷, მოხელე შესაძლებელია სამსახურიდან გათავისუფლდეს:

- პირადი განცხადების საფუძველზე;
- საჯარო დაწესებულების რეორგანიზაციის, ლიკვიდაციის ან/და მისი სხვა საჯარო დაწესებულებასთან შერწყმის გამო, შტატების შემცირებასთან დაკავშირებით;
- ჯანმრთელობის მდგომარეობის ან/და ხანგრძლივი შრომისუუნარობის გამო;
- დაკავებულ თანამდებობასთან შეუსაბამობის გამო;
- დისციპლინარული გადაცდომისთვის და სხვა მიზეზებით.

დაწესებულების რეორგანიზაცია არ ქმნის საფუძველს მოხელის გასათავისუფლებლად, თუ მას არ ახლავს დაწესებულების შტატებით გათვალისწინებულ თანამდებობათა შემცირება.

გარემოება: 2016 წელს სასამართლო გადაწყვეტილებით, მარტვილის მუნიციპალიტეტმა 18 პირს აუნაზღაურა იძულებითი განაცდური 2014 წლის 19 სექტემბრიდან 2016 წლის 23 ივნისამდე პერიოდისთვის, საადვოკატო მომსახურების და სხვა ხარჯები, სულ - 316.4 ათასი ლარი.

2014 წელს, ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის ამოქმედების შემდეგ, გამგეობამ განიცადა სტრუქტურული ცვლილება: გაუქმდა გამგეობის ტერიტორიული ორგანო და ტერიტორიული ორგანოს ხელმძღვანელის - რწმუნებულის თანამდებობა. კანონით რწმუნებულის თანამდებობის ნაცვლად შეიქმნა ადმინისტრაციულ ერთეულში გამგებლის წარმომადგენლის თანამდებობა. წარმომადგენელი დოკუმენტაციის მიხედვით, 2014 წელს მარტვილის მუნიციპალიტეტის გამგებლის ბრძანებების¹⁸ საფუძველზე, თანამდებობიდან გათავისუფლდა 17 ტერიტორიული ორგანოს რწმუნებული და ტერიტორიულ ორგანოებთან კოორდინაციის განყოფილების უფროსი. ბრძანებებში მითითებულია, რომ მოხელეები თანამდებობებიდან გათავისუფლდნენ მარტვილის მუნიციპალიტეტის გამგეობის

¹⁷ „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონი (2017 წლის 1 ივლისამდე მოქმედი რეგულაციების შესაბამისად).

¹⁸ 2014 წლის 18 სექტემბრის ბრძანებები: №№223, 224, 226, 227, 229, 230, 231, 232, 233, 234, 235, 236, 237, 238, 240, 241, 242 და 2014 წლის 24 სექტემბრის ბრძანება №329.

რეორგანიზაციის, კერძოდ, თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიული ორგანოების გაუქმების გამო შტატით გათვალისწინებული თანამდებობების შემცირებასთან დაკავშირებით. გათავისუფლებულ პირებს მიეცათ კომპენსაცია 2 თვის თანამდებობრივი სარგოს ოდენობით, სულ 35.5 ათასი ლარი.

2014 წლის სექტემბერში გამგებელმა იმავე ადმინისტრაციულ ერთეულებში დროებით მოვალეობის შემსრულებლად დანიშნა გამგებლის წარმომადგენლები. დანიშნა აგრეთვე გამგებლის წარმომადგენლის კოორდინაციის განყოფილების უფროსის მოვალეობის შემსრულებელი. 2015 წელს თანამდებობები დაკომპლექტდა კონკურსის წესით. აღნიშნულ სამტატო ერთეულებზე 2014 წლის სექტემბრიდან 2016 წლის 1 ნოემბრამდე პერიოდისთვის შრომის ანაზღაურების სახით გაიცა 475.5 ათასი ლარი.

გათავისუფლებულმა პირებმა სასამართლოში გაასაჩივრეს გამგებლის მიერ გამოცემული სამართლებრივი აქტები. 2016 წლის 23 ივნისის სასამართლო გადაწყვეტილებით ბათილად იქნა ცნობილი მარტვილის მუნიციპალიტეტის გამგებლის მიერ გამოცემული ბრძანებები 18 პირის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ.

სასამართლო გადაწყვეტილების მიხედვით „გამგეობაში ჩატარდა რეორგანიზაცია, თუმცა არ მომხდარა შტატების შემცირება, რადგან გამგებლის წარმომადგენლებისა და წარმომადგენლებთან კოორდინაციის განყოფილების უფროსის თანამდებობები იმდენივე სამტატო ერთეულით განისაზღვრა, რაც მანამდე არსებობდა. გამგებლის წარმომადგენლები და მათი კოორდინაციის განყოფილების უფროსი აღიჭურვა ზუსტად იდენტური ან უფრო ნაკლები ფუნქციებით, უფლებებითა და ვალდებულებებით, ვიდრე რწმუნებულსა და რწმუნებულების კოორდინაციის განყოფილების უფროსს გააჩნდა, შესაბამისად, ადგილი არ ჰქონია შტატებით გათვალისწინებულ თანამდებობათა შემცირებას, რაც გამორიცხავდა აღნიშნული პირების თანამდებობიდან გათავისუფლების შესაძლებლობას. მოცემულ შემთხვევაში მარტვილის მუნიციპალიტეტის გამგეობამ უკანონოდ გაათავისუფლა რა სამსახურიდან აღნიშნული პირები, დაარღვია მათი შრომის უფლება, რომელიც დაცულია საქართველოს კონსტიტუციით და საჯარო სამსახურის შესახებ კანონით.“


სასამართლომ მუნიციპალიტეტს დაავალა ყველა გათავისუფლებული პირის თანამდებობაზე აღდგენა, მოსარჩელების სასარგებლოდ იძულებითი განაცდურის ანაზღაურება - სამსახურიდან გათავისუფლების დღიდან გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე პერიოდისთვის მისაღები ხელფასის ოდენობით¹⁹. მარტვილის მუნიციპალიტეტის გამგეობას ასევე დაეკისრა მოსარჩელების სასარგებლოდ მათ მიერ საადვოკატო მომსახურებისა და სხვა ხარჯების ანაზღაურება.

2016 წლის 1 ნოემბერს, სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე, მარტვილის მუნიციპალიტეტის გამგებელმა გამოსცა ბრძანებები აღნიშნული 18 პირის თანამდებობებზე აღდგენასთან დაკავშირებით. ბრძანების შესაბამისად, მათ აუნაზღაურდათ იძულებითი

¹⁹ 2014 წელს გადახდილი კომპენსაციის გათვალისწინებით.

განაცდური გათავისუფლებიდან სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე პერიოდისთვის, საადვოკატო მომსახურების და სხვა ხარჯები - 316.4 ათასი ლარის ოდენობით.

სქემა №1. თანამდებობიდან გათავისუფლებულ პირებთან დაკავშირებული ხარჯები და გამგებლის წარმომადგენლებზე გაცემული ანაზღაურება



ამრიგად, სასამართლო გადაწყვეტილების მიხედვით, მარტვილის მუნიციპალიტეტმა (შესაბამისმა პასუხისმგებელმა პირებმა) უკანონოდ გაათავისუფლა რა სამსახურიდან საჯარო მოსამსახურეები, დაარღვია მათი კანონმდებლობით გარანტირებული შრომის უფლებები. შესაბამისად, მმართველობით პროცესში მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობის მიერ კანონმდებლობის შეუსაბამოდ მიღებული გადაწყვეტილების შედეგად, მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტიდან 316.4 ათასი ლარის, ხოლო 2014 წლის ბიუჯეტიდან - 35.5 ათასი ლარის დამატებითი ხარჯი გასწია.

სასამართლო გადაწყვეტილება ძალაში შევიდა 2016 წლის 23 ივნისს, შესაბამისად, განაცდური ხელფასი გაიცა 2014 წლის სექტემბრიდან 2016 წლის 23 ივნისამდე პერიოდისთვის, ხოლო პირების თანამდებობებზე აღდგენა განხორციელდა 2016 წლის 1 ნოემბერს. აღნიშნულმა პირებმა კვლავ მიმართეს სასამართლოს და მოითხოვეს ხელფასის ანაზღაურება სასამართლო გადაწყვეტილების ძალაში შესვლიდან აღსრულებამდე გაცდენილი პერიოდისთვის (2016 წლის 23 ივნისიდან 2016 წლის ნოემბრამდე). მოსარჩელები აგრეთვე ითხოვენ 2010 წლიდან 2016 წლის ჩათვლით კუთვნილი ანაზღაურებადი ყოველწლიური გამოუყენებელი შვებულების ანაზღაურებას, თითოეული წლისათვის ერთი თვის თანამდებობრივი სარგოს ოდენობით. აუდიტის მიმდინარეობის პერიოდისთვის აღნიშნული სასამართლო დავა დასრულებული არ არის.

2. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის დასკვნა ფინანსურ ანგარიშგებაზე

2.1 უარყოფითი მოსაზრება 2016 წლის ფინანსური ანგარიშგების შესახებ

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა თვითმმართველი თემი მარტვილის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ფინანსური ანგარიშგების ფინანსური აუდიტი. აუდიტის ობიექტის ფინანსური ანგარიშგების ფორმები, რომლებზეც გაიცა აუდიტორული მოსაზრება, მოიცავს:

1. ბალანსს;
2. ანგარიშს ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით;
3. ანგარიშს არაფინანსური აქტივებით საკასო ოპერაციების შესახებ;
4. ანგარიშს ფინანსური აქტივებითა და ვალდებულებებით საკასო ოპერაციების შესახებ;
5. ანგარიშს წმინდა ღირებულების შესახებ;
6. ანგარიშს არასაბიუჯეტო საქმიანობით მიღებული სახსრების მოძრაობის შესახებ;
7. ანგარიშს მიზნობრივი დაფინანსებისა და მიზნობრივი გრანტების შესახებ;
8. ანგარიშს არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ;
9. ანგარიშს არასაოპერაციო შემოსავლებისა და არასაოპერაციო ხარჯების შედეგად ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ცვლილებების შესახებ;
10. ინფორმაციას არაფინანსური აქტივების ანალიზური აღრიცხვის მონაცემებზე;
11. ინფორმაციას ანგარიშებზე რიცხულ დებიტორულ დავალიანებათა შესახებ;
12. ინფორმაციას ანგარიშებზე რიცხულ კრედიტორულ დავალიანებათა შესახებ;
13. ინფორმაციას დებიტორული დავალიანების შესახებ ორგანიზაციულ ჭრილში;
14. ინფორმაციას კრედიტორული დავალიანების შესახებ ორგანიზაციულ ჭრილში.

ფინანსური ანგარიშგების ფორმები წარმოდგენილია აუდიტის ანგარიშის დანართის სახით.

აუდიტის ჯგუფი არ გამოთქვამს მოსაზრებას 2016 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი საწყისი ნაშთების სისწორეზე.

სახელმწიფო აუდიტის სამსახური გამოთქვამს უარყოფით მოსაზრებას მარტვილის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ფინანსურ ანგარიშგებაზე. უარყოფითი მოსაზრების საფუძველია ფინანსური ანგარიშგების ყველა არსებითი ასპექტის შეუსაბამობა შემდეგ საკანონმდებლო მოთხოვნებთან:

- ❖ „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ“ დებულების დამტკიცების თაობაზე საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის №70 ბრძანებულება;
- ❖ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანებით დამტკიცებული „ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ინსტრუქცია;
- ❖ „ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული

ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის №364 ბრძანება.

2.2. უარყოფითი მოსაზრების საფუძვლები

2.2.1 ორგანიზაციის ბალანსი

საბალანსო ტოლობა

„ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ინსტრუქციის მიხედვით, სააღრიცხვო სისტემაში ეკონომიკური მოვლენების აღრიცხვისათვის გამოიყენება ორმაგი ჩაწერის მეთოდი²⁰. ერთი და იმავე სამეურნეო ოპერაციით გამოწვეული ცვლილება, ერთი და იმავე თანხით აისახება როგორც აქტივების, ასევე მათი ფორმირების წყაროების ამსახველ ანგარიშებში.

მარტვილის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბალანსში საბალანსო ტოლობა (აქტივები=ვალდებულებებს+კაპიტალი) არ არის დაცული. კერძოდ, აქტივების საწყისი ნაშთი 27 424.7 ათასი ლარია, ხოლო ვალდებულებების და კაპიტალის ჯამი - 27 278.9 ათასი ლარი. მათ შორის სხვაობა არის 145.8 ათასი ლარი. აქტივების საბოლოო ნაშთია 31 029.7 ათასი ლარი, ვალდებულებების და კაპიტალის ჯამი - 30 405.0 ათასი ლარი, ხოლო მათ შორის სხვაობა - 624.7 ათასი ლარი.

პასუხისმგებელი პირის განმარტებით, აღნიშნული სხვაობა გამოწვეულია იმით, რომ „მიმდინარე ანგარიში არასაბიუჯეტო სახსრებისათვის ხაზინაში“ და „ანგარიში მიზნობრივი გრანტების და მიზნობრივი დაფინანსებისათვის“ მუხლების საწყისი (145.8 ათასი ლარი) და საბოლოო ნაშთები (624.7 ათასი ლარი) წმინდა ღირებულების საწყისსა და საბოლოო ნაშთში ასახული არ არის.

გამოვლენილი გარემოების შედეგად დაირღვა ბუღალტრული აღრიცხვის საბალანსო ტოლობა (აქტივები=ვალდებულებებს+კაპიტალი).

მოთხოვნები დარიცხული ჯარიმებით, სანქციებით და საკუთრებასთან დაკავშირებული სხვა შემოსავლებით

მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ორგანიზაციების შემოსავლების აღრიცხვისათვის გამოიყენება დარიცხვის მეთოდი²¹. მარტვილის მუნიციპალიტეტმა აუდიტის ჯგუფს წარმოუდგინა ინფორმაცია, რომლის მიხედვით, 2016 წელს გამგეობას ფიზიკური პირებიდან გოგოშა გეგელიდან და მათი სურმაგადან უნდა მიეღო საოფისე ფართების საიჯარო გადასახადი, სულ 15.2 ათასი ლარის ოდენობით. გარდა ამისა, მუნიციპალიტეტს სხვადასხვა იურიდიული პირებიდან დასუფთავების მოსაკრებლის სახით უნდა მიეღო 2.1 ათასი ლარი.

²⁰ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანება „ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“, მუხლი 8, პუნქტი 1.

²¹ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანება, მუხლი 35.

აღნიშნული შემოსავლები გამგეობას 2016 წელს არ მიუღია, ხოლო მისაღები შემოსავლები ფინანსურ ანგარიშგებაში არ აუსახავს. პასუხისმგებელი პირის განმარტებით, აღნიშნულის თაობაზე ბუღალტერიის განყოფილებაში შესაბამისი დოკუმენტაცია არ შესულა.

შედეგად, ბალანსში 17.3 ათასი ლარით შემცირებულადაა წარმოდგენილი „მოთხოვნები დარიცხული ჯარიმებით, სანქციებით და საკუთრებასთან დაკავშირებული სხვა შემოსავლებით“ და „წმინდა ღირებულების“ მუხლები. გამოვლენილი გარემოება გავლენას ახდენს ორგანიზაციის ბალანსსა (ფორმა №1) და წმინდა ღირებულების ანგარიშზე (ბალანსის დანართი ფორმა №3). გარდა ამისა, არასწორად არის წარმოდგენილი ინფორმაცია ანგარიშებზე რიცხულ დებიტორულ დავალიანებათა შესახებ და ინფორმაცია დებიტორული დავალიანების შესახებ ორგანიზაციულ ჭრილში (ბალანსის დანართები: ფორმა №7 და ფორმა №9).

მოთხოვნები აქტივების მიღებაზე წინასწარი გადახდებით

მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ანგარიშზე „მოთხოვნები აქტივების მიღებაზე წინასწარი გადახდებით“ აღირიცხება აქტივების მისაღებად ავანსად გაცემული სახსრები²². წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, მარტვილის მუნიციპალიტეტს 2016 წლის ბოლოსათვის ერიცხებოდა დებიტორული დავალიანება 6.2 ათასი ლარის ოდენობით. მათ შორის, 4.6 ათასი ლარი არის ი/მ გრიშა კვანტალიანზე სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო სამუშაოებისთვის გაცემული ავანსი, ხოლო 1.6 ათასი ლარი - სს „ენერგო პრო ჯორჯიასათვის“ გადარიცხული გარე განათების გამანაწილებელ ქსელზე მიერთების ღირებულება. აღნიშნული დებიტორული დავალიანება ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული არ არის.

წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, გამგეობამ 4.6 ათასი ლარი ასახა „დაუმთავრებელი აქტივების“ მუხლში, ხოლო 0.4 ათასი ლარი და 1.2 ათასი ლარი „არასაცხოვრებელი შენობებისა“ და „გაყვანილობის სისტემების“ მუხლებში, რაც არასწორია.

გამოვლენილი გარემოების შედეგად, ბალანსში 6.2 ათასი ლარით შემცირებულადაა წარმოდგენილი მუხლი „მოთხოვნები აქტივების მიღებაზე წინასწარი გადახდებით“. გარემოება გავლენას ახდენს ორგანიზაციის ბალანსზე (ფორმა №1). გარდა ამისა, არასწორად არის წარმოდგენილი ინფორმაცია ანგარიშებზე რიცხულ დებიტორულ დავალიანებათა შესახებ და ინფორმაცია დებიტორული დავალიანების შესახებ ორგანიზაციულ ჭრილში (ბალანსის დანართები: ფორმა №7 და ფორმა №9).

ბალანსში გაზრდილადაა წარმოდგენილი „არასაცხოვრებელი შენობებისა“, „გაყვანილობის სისტემების“ და „დაუმთავრებელი აქტივების“ მუხლები. გარემოება გავლენას ახდენს ბალანსზე (ფორმა №1), ანგარიშზე არაფინანსური აქტივებით საკასო ოპერაციების შესახებ (ფორმა №2-1) და ანგარიშზე არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ (ფორმა №5).

დარიცხული ცვეთა გავლენას ახდენს ბალანსში „წმინდა ღირებულების“ მუხლზე (ფორმა №1). ასევე გავლენას ახდენს ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით (ბალანსის დანართი

²² საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანება, მუხლი 13.

ფორმა №2), წმინდა ღირებულებისა (ბალანსის დანართი ფორმა №3) და არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ ანგარიშებზე (ბალანსის დანართი ფორმა №5).

შენიშვნა-ნაგებობები

არასაცხოვრებელი შენობები. წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, მუნიციპალიტეტმა 2016 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში „არასაცხოვრებელი შენობების“ მუხლში ასახა ისეთი სამუშაოების ღირებულება, რომელიც დაიწყო 2016 წელს და წლის ბოლოსათვის დაუსრულებელი იყო. კერძოდ²³: სოფელ პირველი ნამიკოლას უბანში საბავშვო ბაღის მშენებლობა - 9.0 ათასი ლარი, სერგიეთის ადმინისტრაციულ ცენტრში საბავშვო ბაღის მშენებლობა - 11.1 ათასი ლარი. აღნიშნული სამუშაოების ღირებულება გამგეობას უნდა აესახა „დაუმთავრებელი აქტივების“ მუხლში.

გამოვლენილი გარემოების შედეგად, 20.1 ათასი ლარით გაზრდილია „არასაცხოვრებელი შენობების“ მუხლი, ხოლო „დაუმთავრებელი აქტივების“ მუხლი შემცირებულია იგივე თანხით. გარემოება გავლენას ახდენს ბალანსზე (ფორმა №1), ანგარიშზე არაფინანსური აქტივებით საკასო ოპერაციების შესახებ (ფორმა №2-1) და ანგარიშზე არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ (ფორმა №5).

დარიცხული ცვეთა გავლენას ახდენს ბალანსში „წმინდა ღირებულების“ მუხლზე (ფორმა №1). ასევე გავლენას ახდენს ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით (ბალანსის დანართი ფორმა №2), წმინდა ღირებულებისა (ბალანსის დანართი ფორმა №3) და არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ ანგარიშებზე (ბალანსის დანართი ფორმა №5).

გზები. მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, საბიუჯეტო კლასიფიკაციით განსაზღვრული გადასახდელებით განხორციელებული ხარჯებითი ოპერაციების, აქტივებით და ვალდებულებებით ოპერაციების და ორგანიზაციების შემოსავლების აღრიცხვისთვის გამოიყენება დარიცხვის მეთოდი; ოპერაციები და სხვა მოვლენები ბუღალტრულ ფორმებში/რეგისტრებში აღირიცხება პირველადი დოკუმენტების მიღების თარიღით და მიეკუთვნება იმ თვის ანგარიშგებას²⁴.

წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, 2015-2016 წლებში მარტვილის მუნიციპალიტეტში განხორციელდა სალხინო-ლევან-ბაღდას გზის რეაბილიტაცია. პროექტის ფაქტობრივმა ღირებულებამ 1 806.9 ათასი ლარი შეადგინა. მათ შორის, 2015 წელს შესრულდა 112.1 ათასი ლარის, ხოლო 2016 წელს - 1 694.8 ათასი ლარის სამუშაო.

განხორციელებული პროექტი დაფინანსდა სხვადასხვა წყაროებიდან. კერძოდ, მუნიციპალური განვითარების ფონდმა (მგფ) დააფინანსა 542.1 ათასი ლარით, სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსდა 21.3 ათასი ლარით, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან თანადაფინანსების სახით - 340.0 ათასი ლარით და აგრეთვე ამ მიზნით გამგეობამ მგფ-ისაგან აიღო გრძელვადიანი სესხი 903.5 ათასი ლარის ოდენობით. გამგეობამ განხორციელებული პროექტი ფინანსურ

²³ SPA160018131. SPA160021784.

²⁴ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანება, მუხლი 9.

ანგარიშგებაში ნაცვლად მთლიანი ღირებულებისა, ასახა 2016 წლის ბიუჯეტიდან თანადაფინანსების სახით გადარიცხული 150.0 ათასი ლარით.

გამოვლენილი გარემოებით „გზების“ მუხლი (ცვეთის გარეშე) შემცირებულია 1 656.9 ათასი ლარით. აღნიშნული გავლენას ახდენს ბალანსზე (ფორმა №1) და არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ ანგარიშზე (ბალანსის დანართი ფორმა №5).

დასარიცხი ცვეთა გავლენას ახდენს ბალანსში „წმინდა ღირებულების“ მუხლზე (ფორმა №1). ასევე გავლენას ახდენს ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით (ბალანსის დანართი ფორმა №2), წმინდა ღირებულებისა (ბალანსის დანართი ფორმა №3) და არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ ანგარიშებზე (ბალანსის დანართი ფორმა №5).

სხვა ნაგებობები. მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, „შენობა-ნაგებობების“ მუხლი მოიცავს საცხოვრებელ შენობებს, არასაცხოვრებელ შენობებს, საგზაო მაგისტრალებს, ქუჩებს, გზებს, ხიდებს, გვირაბებს, გაყვანილობის სისტემებს და სხვა ნაგებობებს²⁵. წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, გამგეობამ, ფინანსურ ანგარიშგებაში, გარე განათების მოწყობა, ღირებულებით - 0.6 ათასი ლარი ასახა „გზების“ მუხლში, ხოლო 68.8 ათასი ლარის ღირებულების - „გაყვანილობის სისტემების“ მუხლში. გარდა ამისა, 103 დასახელების სტადიონები, მემორიალები, სასაფლაოს შემოღობვები და სკვერები, სულ 1 226.3 ათასი ლარის ღირებულების, ასახული არის „არასაცხოვრებელი შენობების“ მუხლში. აღნიშნული აქტივები გამგეობას უნდა გაეტარებინა „სხვა ნაგებობების“ მუხლში და მიენიჭებინა ცვეთის შესაბამისი ნორმა. პასუხისმგებელი პირის განმარტებით, აღნიშნული რეგისტრები შექმნილია სხვადასხვა წლებში და საჭიროებს შესწორებას.

ერთი მხრივ, „გზების“ მუხლი გაზრდილია 0.6 ათასი ლარით, „გაყვანილობის სისტემების“ მუხლი - 68.8 ათასი ლარით და „არასაცხოვრებელი შენობების“ მუხლი - 1 226.3 ათასი ლარით; მეორე მხრივ, „სხვა ნაგებობების“ მუხლი შემცირებულია შესაბამისი თანხით. გამოვლენილი გარემოება გავლენას ახდენს არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ ანგარიშზე (ბალანსის დანართი ფორმა №5).

დასარიცხი ცვეთა გავლენას ახდენს ბალანსში „წმინდა ღირებულების“ მუხლზე (ფორმა №1). ასევე გავლენას ახდენს ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით (ბალანსის დანართი ფორმა №2), წმინდა ღირებულებისა (ბალანსის დანართი ფორმა №3) და არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ ანგარიშებზე (ბალანსის დანართი ფორმა №5).

მანქანა-დანადგარები და ინვენტარი

მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, „მანქანა-დანადგარებისა და ინვენტარის“ მუხლი მოიცავს სატრანსპორტო საშუალებებს და სხვა მანქანა-დანადგარებსა და ინვენტარს²⁶. ფინანსურ ანგარიშგებაში „მანქანა-დანადგარებისა და ინვენტარის“ მუხლის საბოლოო ნაშთში აღრიცხულია 501.9 ათასი ლარის ღირებულების აქტივები. აღნიშნული მუხლის ჩაშლის შესახებ

²⁵ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანება, მუხლი 22.

²⁶ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანება, მუხლი 22.

წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, მუხლი მოიცავს 484.8 ათასი ლარის სხვადასხვა დასახელების მანქანა-დანადგარებსა და ინვენტარს.

„მანქანა-დანადგარებისა და ინვენტარის“ მუხლი არასწორადაა წარმოდგენილი შესაბამისი თანხით. გამოვლენილი გარემოება გავლენას ახდენს ბალანსზე (ფორმა №1) და არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ ანგარიშზე (ბალანსის დანართი ფორმა №5).

დარიცხული ცვეთა გავლენას ახდენს ბალანსში „წმინდა ღირებულების“ მუხლზე (ფორმა №1). ასევე გავლენას ახდენს ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით (ბალანსის დანართი ფორმა №2), წმინდა ღირებულებისა (ბალანსის დანართი ფორმა №3) და არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ ანგარიშებზე (ბალანსის დანართი ფორმა №5).

სატრანსპორტო საშუალებები. ფინანსურ ანგარიშგებაში, ბალანსის დანართ ფორმა №5-ში - ანგარიშში არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ, „სატრანსპორტო საშუალებების“ მუხლის „მიღება არასაოპერაციო შემოსავლებით“ აღრიცხულია 48.0 ათასი ლარი. წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, ანგარიშში ასახულია შპს „მექანიზატორიდან“ უსასყიდლოდ მიღებული სატრანსპორტო საშუალება, რომლის ღირებულება ნაცვლად 48.0 ათასი ლარისა, 47.5 ათასი ლარია. პასუხისმგებელი პირის განმარტებით, აღნიშნული სხვაობა გამოწვეულია მექანიკური შეცდომით.

გამოვლენილი გარემოებით „სატრანსპორტო საშუალებების“ და „წმინდა ღირებულების“ მუხლები 0.5 ათასი ლარით გაზრდილადაა წარმოდგენილი და გავლენას ახდენს ბალანსზე (ფორმა №1). ასევე გავლენას ახდენს წმინდა ღირებულების ანგარიშზე (ბალანსის დანართი ფორმა №3) და არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ ანგარიშზე (ბალანსის დანართი ფორმა №5).

დარიცხული ცვეთა გავლენას ახდენს ბალანსში „წმინდა ღირებულების“ მუხლზე (ფორმა №1). ასევე გავლენას ახდენს ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით (ბალანსის დანართი ფორმა №2), წმინდა ღირებულებისა (ბალანსის დანართი ფორმა №3) და არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ ანგარიშებზე (ბალანსის დანართი ფორმა №5).

სხვა დანარჩენი ძირითადი აქტივები

მუნიციპალიტეტმა 2016 წელს ხელშეკრულება გააფორმა ი/მ კაპიტონ კაკულიასთან კიწიას ადმინისტრაციულ ერთეულში გზის რეაბილიტაციისა და ამბულატორიის მშენებლობის სამუშაოებზე, ღირებულებით 19.4 ათასი ლარი²⁷. მათ შორის 2016 წელს შესრულდა 11.3 ათასი ლარის სამუშაო, ხოლო მუნიციპალიტეტმა ანგარიშსწორება განახორციელა 10.9 ათას ლარზე. მუნიციპალიტეტმა 2016 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში „დაუმთავრებელი აქტივების“ მუხლში ნაცვლად 11.3 ათასი ლარისა, ასახა მხოლოდ 5.9 ათასი ლარი. ამასთან, 5.0 ათასი ლარი აღრიცხა „სხვა დანარჩენი საქონლისა და მომსახურების“ მუხლში, რაც არასწორია.

შედეგად, „დაუმთავრებელი აქტივების“ მუხლი შემცირებულია 5.4 ათასი ლარით, ხოლო აქტივების მოწოდებით დარიცხული ვალდებულებები 0.4 ათასი ლარით, რაც გავლენას ახდენს

²⁷ SPA160020346.

ბალანსზე (ფორმა №1), ანგარიშზე არაფინანსური აქტივებით საკასო ოპერაციების შესახებ (ფორმა №2-1) და ანგარიშზე არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ (ფორმა №5). გარდა ამისა, არასწორად არის წარმოდგენილი ინფორმაცია ანგარიშებზე რიცხულ კრედიტორულ დავალიანებათა შესახებ და ინფორმაცია კრედიტორული დავალიანების შესახებ ორგანიზაციულ ჭრილში (ბალანსის დანართები: ფორმა №8 და ფორმა №10), ბალანსში „წმინდა ღირებულების“ მუხლი (ფორმა №1), ანგარიში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით (ბალანსის დანართი ფორმა №2), წმინდა ღირებულების ანგარიში (ბალანსის დანართი ფორმა №3).

2016 წელს მარტვილის მუნიციპალიტეტმა ახედათის ადმინისტრაციულ ერთეულში „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში განახორციელა 38.7 ათასი ლარის ღირებულების სხვადასხვა პროექტი. მათ შორის 7.7 ათასი ლარი გადაირიცხა 2016 წელს, ხოლო 31.0 ათასი ლარი - 2017 წელს. მუნიციპალიტეტის გამგეობამ 2016 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში ნაცვლად მთლიანი ღირებულების „შენობა-ნაგებობების“ მუხლში აღრიცხვისა, „დაუმთავრებელი აქტივების“ მუხლში ასახა 7.7 ათასი ლარი. ამასთან 31.0 ათასი ლარი 2016 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში „აქტივების მოწოდებით დარიცხული ვალდებულებების“ მუხლში უნდა ასახულიყო, რაც გამგეობის არ განუხორციელებია.

შედეგად, ბალანსში „შენობა-ნაგებობების“ მუხლი შემცირებულია 38.7 ათასი ლარით, ხოლო „დაუმთავრებელი აქტივების“ მუხლი გაზრდილია 7.7 ათასი ლარით. აღნიშნული გავლენას ახდენს ბალანსზე (ფორმა №1), ანგარიშზე არაფინანსური აქტივებით საკასო ოპერაციების შესახებ (ფორმა №2-1) და ანგარიშზე არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ (ფორმა №5).

დასარიცხი ცვეთა გავლენას ახდენს ბალანსში „წმინდა ღირებულების“ მუხლზე (ფორმა №1). ასევე გავლენას ახდენს ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით (ბალანსის დანართი ფორმა №2), წმინდა ღირებულების (ბალანსის დანართი ფორმა №3) და არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ ანგარიშებზე (ბალანსის დანართი ფორმა №5).

ასევე ბალანსში „აქტივების მოწოდებით დარიცხული ვალდებულებების“ მუხლი შემცირებულია 31.0 ათასი ლარით. გამოვლენილი გარემოება გავლენას ახდენს ორგანიზაციის ბალანსზე (ფორმა №1). გარდა ამისა, არასწორად არის წარმოდგენილი ინფორმაცია ანგარიშებზე რიცხულ კრედიტორულ დავალიანებათა შესახებ და ინფორმაცია კრედიტორული დავალიანების შესახებ ორგანიზაციულ ჭრილში (ბალანსის დანართები: ფორმა №8 და ფორმა №10).

აქტივების მოწოდებით დარიცხული ვალდებულებები

მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, ანგარიშზე „აქტივების მოწოდებით დარიცხული ვალდებულებები“ აღირიცხება არაფინანსური აქტივების მოწოდების შედეგად წარმოქმნილი მოკლევადიანი ვალდებულებები²⁸. 2016 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში, ბალანსში მუხლი „აქტივების მოწოდებით დარიცხული ვალდებულებები“ არ არის აღრიცხული. წარმოდგენილი

²⁸ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანება, მუხლი 29.

ინფორმაციის მიხედვით, გამგეობას 2016 წლის ბოლოსათვის ჰქონდა დავალიანება 190.1 ათასი ლარის ოდენობით²⁹, სალხინო-ლევაცე-ბაღდას გზის რეაბილიტაციისათვის.

შედეგად, „აქტივების მოწოდებით დარიცხული ვალდებულებების“ მუხლი შემცირებულია 190.1 ათასი ლარით. გამოვლენილი გარემოება გავლენას ახდენს ორგანიზაციის ბალანსზე (ფორმა №1). გარდა ამისა, არასწორად არის წარმოდგენილი ინფორმაცია ანგარიშებზე რიცხულ კრედიტორულ დავალიანებათა შესახებ და ინფორმაცია კრედიტორული დავალიანების შესახებ ორგანიზაციულ ჭრილში (ბალანსის დანართები: ფორმა №8 და ფორმა №10).

გრძელვადიანი ვალდებულებები სესხებით

მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, ანგარიშზე „გრძელვადიანი ვალდებულებები სესხებით“ აისახება სხვადასხვა სახის გრძელვადიანი სესხები და კრედიტები, რომელთა დაფარვით მოსალოდნელია ორგანიზაციიდან ფულადი რესურსების გადინება³⁰.

2016 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში, ბალანსში მუხლი „გრძელვადიანი ვალდებულებები სესხებით“ არ არის აღრიცხული. წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, გამგეობამ 2015 წელს მუნიციპალური განვითარების ფონდისაგან აიღო სესხი 903.5 ათასი ლარის ოდენობით, სალხინო-ლევაცე-ბაღდას გზის რეაბილიტაციისათვის. 2016 წლის ბოლოსათვის აღნიშნული სასესო ვალდებულების დასაფარი ნაწილი 892.7 ათას ლარს შეადგენდა.

მუხლი „გრძელვადიანი ვალდებულებები სესხებით“ შემცირებულია 892.7 ათასი ლარით. გამოვლენილი გარემოება გავლენას ახდენს ორგანიზაციის ბალანსზე (ფორმა №1). გარდა ამისა, არასწორად არის წარმოდგენილი ინფორმაცია ანგარიშებზე რიცხულ კრედიტორულ დავალიანებათა შესახებ და ინფორმაცია კრედიტორული დავალიანების შესახებ ორგანიზაციულ ჭრილში (ბალანსის დანართები: ფორმა №8 და ფორმა №10).

2.2.2 ანგარიში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით

შრომის ანაზღაურება

ანგარიშში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით, „თანამდებობრივი სარგოს“ მუხლის საკასო ხარჯი წარმოდგენილია 1 640.2 ათასი ლარით. მუნიციპალიტეტის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით კი, იგივე მაჩვენებელი 1 622.6 ათასი ლარია. პასუხისმგებელი პირის განმარტებით, დაშვებულია შეცდომა, კერძოდ, ფორმა №2-ში „თანამდებობრივი სარგოს“ მუხლი წარმოადგინა ა(ა)იპ-ების საკუთარი შემოსავლებიდან გახარჯული თანხების ჩათვლით.

შედეგად, „თანამდებობრივი სარგოს“ მუხლი (საკასო ხარჯი) არასწორად არის წარმოდგენილი შესაბამისი თანხით. აღნიშნული გარემოება გავლენას ახდენს ბალანსში „წმინდა ღირებულებების“ მუხლზე (ფორმა №1), ანგარიშზე ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით (ბალანსის დანართი ფორმა №2) და წმინდა ღირებულებების ანგარიშზე (ბალანსის დანართი ფორმა №3).

²⁹ მუნიციპალიტეტის ვალდებულება იყო 361.4 ათასი ლარი, საიდანაც 2016 წელს გადაიხადა 150.0 ათასი ლარი, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტმა დაუფინანსა 21.3 ათასი ლარი.

³⁰ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანება, მუხლი 29.

საქონელი და მომსახურება

ოფისის ხარჯები. ანგარიშში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით, „ოფისის ხარჯების“ მუხლის საკასო ხარჯი წარმოდგენილია 176.4 ათასი ლარით. მუნიციპალიტეტის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით კი, იგივე მაჩვენებელი 176.1 ათასი ლარია. პასუხისმგებელი პირის განმარტებით, დაშვებულია შეცდომა, კერძოდ, ფორმა №2-ში „ოფისის ხარჯების“ მუხლი წარმოდგენილია ა(ა)იპ-ების საკუთარი შემოსავლებიდან გახარჯული თანხების ჩათვლით.

შედეგად, „ოფისის ხარჯების“ მუხლი (საკასო ხარჯი) არასწორად არის წარმოდგენილი შესაბამისი თანხით. აღნიშნული გარემოება გავლენას ახდენს ბალანსში „წმინდა ღირებულების“ მუხლზე (ფორმა №1), ანგარიშზე ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით (ბალანსის დანართი ფორმა №2) და წმინდა ღირებულების ანგარიშზე (ბალანსის დანართი ფორმა №3).

ტრანსპორტის, ტექნიკისა და იარაღის ექსპლუატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯები. ანგარიშში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით, „ტრანსპორტის, ტექნიკისა და იარაღის ექსპლუატაციისა და მოვლა-შენახვის“ მუხლის საკასო ხარჯი წარმოდგენილია 169.9 ათასი ლარით. მუნიციპალიტეტის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით კი, იგივე მაჩვენებელი 169.1 ათასი ლარია. პასუხისმგებელი პირის განმარტებით, დაშვებულია შეცდომა, კერძოდ, ფორმა №2-ში „ტრანსპორტის, ტექნიკისა და იარაღის ექსპლუატაციისა და მოვლა-შენახვის“ მუხლი წარმოდგენილია ა(ა)იპ-ების საკუთარი შემოსავლებიდან გახარჯული თანხების ჩათვლით.

შედეგად, „ტრანსპორტის, ტექნიკისა და იარაღის ექსპლუატაციისა და მოვლა-შენახვის“ მუხლი (საკასო ხარჯი) არასწორად არის წარმოდგენილი შესაბამისი თანხით. აღნიშნული გარემოება გავლენას ახდენს ბალანსში „წმინდა ღირებულების“ მუხლზე (ფორმა №1), ანგარიშზე ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით (ბალანსის დანართი ფორმა №2) და წმინდა ღირებულების ანგარიშზე (ბალანსის დანართი ფორმა №3).

ძირითადი კაპიტალის მოხმარება

ანგარიშში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით, „ძირითადი კაპიტალის მოხმარების“ მუხლის ფაქტობრივი ხარჯი აღრიცხული არ არის. არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ ანგარიშისა და წმინდა ღირებულების ანგარიშის მიხედვით, ძირითადი კაპიტალის მოხმარება ათასი 1 281.4 ლარია.

გამოვლენილი გარემოებით „ძირითადი კაპიტალის მოხმარების“ მუხლის ფაქტობრივი ხარჯი შემცირებულია შესაბამისი თანხით. აღნიშნული გავლენას ახდენს ანგარიშზე ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით (ბალანსის დანართი ფორმა №2).

პროცენტი

მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით³¹, ორგანიზაციების მიერ აქტივის შეძენასთან, წარმოებასთან ან მშენებლობასთან უშუალოდ დაკავშირებული სესხით სარგებლობის

³¹ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანება, მუხლი 24.

დანახარჯების კაპიტალიზაცია შესაძლებელია სათანადო პირობების არსებობის შემთხვევაში. კაპიტალიზაცია აქტივის ღირებულების ნაწილის სახით იწყება მაშინ, როდესაც:

- ❖ აქტივზე გაწეულია პირველადი დანახარჯები;
- ❖ გაწეულია სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული პირველადი დანახარჯები;
- ❖ დაწყებულია მოცემული აქტივის გამოსაყენებლად ან გასაყიდ მდგომარეობაში მოსაყვანად პირველადი სამუშაოები.

ანგარიშში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით, „პროცენტის“ მუხლში ასახულია 66.7 ათასი ლარი. აღნიშნული თანხა წარმოადგენს მუნიციპალიტეტის მიერ სალხინო-ლევან-ბაღდას გზის რეაბილიტაციისათვის აღებული გრძელვადიანი სესხის პროცენტს. გამგეობას კანონმდებლობის შესაბამისად უნდა განეხორციელებინა დანახარჯების კაპიტალიზაცია და გრძელვადიან ფინანსურ ვალდებულებებზე გადახდილი პროცენტი უნდა დაემატებინა უშუალოდ იმ აქტივის ღირებულებისთვის, რომელზედაც მიმართულ იქნა სესხის ძირითადი თანხა.

შედეგად „პროცენტის“ მუხლი გაზრდილია 66.7 ათასი ლარით. აღნიშნული გარემოება გავლენას ახდენს ბალანსში „წმინდა ღირებულების“ მუხლზე (ფორმა №1), ანგარიშებზე ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით (ბალანსის დანართი ფორმა №2) და წმინდა ღირებულებაზე (ბალანსის დანართი ფორმა №3).

„გზების“ მუხლი (ცვეთის გარეშე) შემცირებულია 66.7 ათასი ლარით. აღნიშნული გარემოება გავლენას ახდენს ბალანსზე (ფორმა №1), ანგარიშზე არაფინანსური აქტივებით საკასო ოპერაციების შესახებ (ფორმა №2-1) და ანგარიშზე არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ (ფორმა №5).

დასარიცხი ცვეთა გავლენას ახდენს ბალანსში „წმინდა ღირებულების“ მუხლზე (ფორმა №1). ასევე გავლენას ახდენს ანგარიშებზე ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით (ბალანსის დანართი ფორმა №2), წმინდა ღირებულებაზე (ბალანსის დანართი ფორმა №3) და არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ (ფორმა №5).

გრანტები

ანგარიშში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით „გრანტების“ მუხლი წარმოდგენილია 5 000.0 ათასი ლარით. წმინდა ღირებულების ანგარიშისა და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის მიხედვით, „გრანტების“ მუხლი 5.0 ათასი ლარია. პასუხისმგებელი პირის განმარტებით, აღნიშნული გამოწვეულია მექანიკური შეცდომით.

შედეგად, „გრანტების“ მუხლი გაზრდილია 4 995.0 ათასი ლარით. აღნიშნული გარემოება გავლენას ახდენს ანგარიშზე ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით (ბალანსის დანართი ფორმა №2).

2.2.3 ანგარიში ფინანსური აქტივებითა და ვალდებულებებით საკასო ოპერაციების შესახებ

წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, გამგეობამ 2015 წელს მუნიციპალური განვითარების ფონდიდან აიღო სესხი 903.5 ათასი ლარის ოდენობით, სალხინო-ლევავე-ბალდას გზის რეაბილიტაციისათვის. 2016 წელს მუნიციპალიტეტმა დაფარა სასესხო ვალდებულება 10.8 ათასი ლარის ოდენობით. აღნიშნული ოპერაცია ბუღალტრულად უნდა აღრიცხულიყო როგორც ვალდებულების შემცირება და ასახულიყო ფინანსური აქტივებითა და ვალდებულებებით საკასო ოპერაციების შესახებ ანგარიშში, რაც არ განხორციელებულა.

გამოვლენილი გარემოების შედეგად, ანგარიშში „ფინანსური აქტივებითა და ვალდებულებებით საკასო ოპერაციების შესახებ“ (ბალანსის დანართი ფორმა №2-2) ვალდებულებების მუხლი 10.8 ათასი ლარით შემცირებულადაა წარმოდგენილი.

2.2.4 ანგარიში წმინდა ღირებულების შესახებ

გრანტები

მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, საბიუჯეტო კლასიფიკაციით განსაზღვრული გადასახდელებით განხორციელებული ხარჯვითი ოპერაციების, აქტივებით და ვალდებულებებით ოპერაციების და ორგანიზაციების შემოსავლების აღრიცხვისთვის გამოიყენება დარიცხვის მეთოდი; ოპერაციები და სხვა მოვლენები ბუღალტრულ ფორმებში/რეგისტრებში აღირიცხება პირველადი დოკუმენტების მიღების თარიღით და მიეკუთვნება იმ თვის ანგარიშგებას³².

წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, 2016 წელს მარტვილის მუნიციპალიტეტმა მუნიციპალური განვითარების ფონდიდან მიიღო დაფინანსება 508.5 ათასი ლარი გრანტის სახით, რომლითაც განხორციელდა სალხინო-ლევავე-ბალდას გზის რეაბილიტაცია. გამგეობას აღნიშნული ოპერაცია ბუღალტრულად არ აუსახავს და შესაბამისად, არც ფინანსურ ანგარიშგებაშია წარმოდგენილი.

გამოვლენილი გარემოებით შემოსავლებში, კერძოდ „გრანტების“ მუხლში არ აისახა 508.5 ათასი ლარი. აღნიშნული გავლენას ახდენს ბალანსში „წმინდა ღირებულების“ მუხლზე (ფორმა №1). ასევე გავლენას ახდენს წმინდა ღირებულების ანგარიშზე (ბალანსის დანართი ფორმა №3).

არასაოპერაციო შემოსავლები

მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, არასაოპერაციო შემოსავლების ანგარიშზე, აღირიცხება აქტივისა და ვალდებულების ზრდა/კლება, რომელიც ოპერაციების შედეგად არ არის წარმოქმნილი³³.

წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, 2016 წელს სახელმწიფო ბიუჯეტმა დააფინანსა მარტვილის მუნიციპალიტეტის კრედიტორული დავალიანება 21.3 ათასი ლარის ოდენობით. აღნიშნული თანხით განხორციელდა სალხინო-ლევავე-ბალდას გზის რეაბილიტაცია. გამგეობას

³² საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანება, მუხლი 9.

³³ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანება, მუხლი 39.

აღნიშნული ოპერაცია ბუღალტრულად არ აუსახავს და შესაბამისად, არც ფინანსურ ანგარიშგებაშია წარმოდგენილი.

გამოვლენილი გარემოებით „არასაოპერაციო შემოსავლების“ მუხლში არ აისახა 21.3 ათასი ლარი. აღნიშნული გავლენას ახდენს ბალანსში „წმინდა ღირებულების“ მუხლზე (ფორმა №1). ასევე გავლენას ახდენს წმინდა ღირებულების ანგარიშზე (ბალანსის დანართი ფორმა №3) და არასაოპერაციო შემოსავლებისა და არასაოპერაციო ხარჯების შედეგად ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ცვლილებების შესახებ ანგარიშზე (ბალანსის დანართი ფორმა №5-1).

2.2.5 ანგარიში არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ

წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, ფინანსურ ანგარიშგებაში, „არაწარმოებული აქტივების“ (კერძოდ, მიწის) მუხლის საბოლოო ნაშთში აღრიცხული არის 42 დასახელების მიწა, ღირებულებით 253.9 ათასი ლარი. გამგეობის ეკონომიკური განვითარების, ქონების მართვისა და სტატისტიკის სამსახურმა აუდიტის ჯგუფს წარმოდგინა ინფორმაცია საკუთრებაში არსებული მიწის შესახებ, ნორმატიული ფასების მითითებით. ინფორმაციის მიხედვით, მუნიციპალიტეტი 2016 წლის ბოლოსათვის ფლობდა 142 დასახელების მიწის ნაკვეთს, რომელთა ნორმატიული ღირებულება 1 163 ათას ლარზე მეტია. პასუხისმგებელი პირის განმარტებით, აღნიშნული ინფორმაცია ბუღალტრული აღრიცხვის განყოფილებას არ მიეწოდა და ბალანსში აღირიცხება წარდგენისთანავე.

გამოვლენილი გარემოება გავლენას ახდენს ბალანსზე (ფორმა №1), კერძოდ, „არაწარმოებული აქტივების“ და „წმინდა ღირებულების“ მუხლები შესაბამისი თანხებით შემცირებულადაა წარმოდგენილი. აღნიშნული გავლენას ახდენს ასევე წმინდა ღირებულების ანგარიშზე (ბალანსის დანართი ფორმა №3) და არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ ანგარიშზე (ბალანსის დანართი ფორმა №5).

ფინანსურ ანგარიშგებაში, ბალანსის დანართ ფორმა №5-ში - ანგარიშში არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ, „არაწარმოებული აქტივების“ მუხლის გასვლა-გაყიდვით არ არის აღრიცხული. წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, 2016 წელს მუნიციპალიტეტმა აუქციონის ფორმით გაასხვისა 396 კვ.მ მიწა, რომლის საბალანსო ღირებულება 16.4 ათასი ლარი იყო. პასუხისმგებელი პირის განმარტებით, მიწის გასხვისების შესაბამისი დოკუმენტაცია ბუღალტრულ განყოფილებას არ მიეწოდა.

გამოვლენილი გარემოება გავლენას ახდენს ბალანსზე, კერძოდ „არაწარმოებული აქტივების“ მუხლი 16.4 ათასი ლარით გაზრდილადაა წარმოდგენილი (ფორმა №1). გარემოება ასევე გავლენას ახდენს წმინდა ღირებულების ანგარიშზე (ბალანსის დანართი ფორმა №3) და არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ ანგარიშზე (ბალანსის დანართი ფორმა №5).

2.2.6 ინფორმაცია არაფინანსური აქტივების ანალიზური აღრიცხვის მონაცემებზე

არაფინანსური აქტივების ანალიზური აღრიცხვის მონაცემების მიხედვით, ავტომატქანების რემონტის ხარჯი და სათადარიგო ნაწილების ღირებულება აღრიცხულია 11.6 ათასი ლარით,

ხოლო საწვავის ხარჯში - 13.1 ათასი ლარი. გამგეობის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციით, იგივე მაჩვენებლები, შესაბამისად, 26.4 ათასი ლარი და 52.8 ათასი ლარია³⁴.

გამოვლენილი გარემოების შედეგად, არასწორად არის წარმოდგენილი ინფორმაცია არაფინანსური აქტივების ანალიზური აღრიცხვის მონაცემებზე (ბალანსის დანართი ფორმა №6).

2.2.7 ბალანსის დანართი ფორმები

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის №364 ბრძანების მიხედვით, ორგანიზაცია ვალდებულია მოამზადოს ბალანსი და ბალანსის დანართი ფორმები, მათ შორის, ფორმა №2-2 - ანგარიში ფინანსური აქტივებითა და ვალდებულებებით საკასო ოპერაციების შესახებ, ფორმა №7 - ინფორმაცია ანგარიშებზე რიცხულ დებიტორულ დავალიანებათა შესახებ, ფორმა №8 - ანგარიშებზე რიცხულ კრედიტორულ დავალიანებათა შესახებ, ფორმა №9 - ინფორმაცია დებიტორული დავალიანების შესახებ ორგანიზაციულ ჭრილში და ფორმა №10 - ინფორმაცია კრედიტორული დავალიანების შესახებ ორგანიზაციულ ჭრილში. ბალანსის აღნიშნული დანართი ფორმები მარტვილის მუნიციპალიტეტის მიერ არ მომზადებულა.

გამოვლენილი გარემოების შედეგად, ფინანსური ანგარიშგება არასრულყოფილად არის წარმოდგენილი (ბალანსის დანართები: ფორმა №2-2, ფორმა №7, ფორმა №8, ფორმა №9, ფორმა №10). შესაბამისად ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებს არ ეძლევათ საშუალება მიიღონ სრულყოფილი ინფორმაცია მარტვილის მუნიციპალიტეტის ფინანსური მდგომარეობის შესახებ.

2.2.8 ინვენტარიზაცია

საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის №70 ბრძანებულებით დამტკიცებული „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ დებულების“ მიხედვით, ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების მონაცემების უტყუარობის უზრუნველყოფის მიზნით, ორგანიზაცია ვალდებულია მოახდინოს ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაცია. საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის №605 ბრძანების „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესის“ თანახმად, საბიუჯეტო ორგანიზაციაში აქტივებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარება სავალდებულოა ყოველწლიურად, საბიუჯეტო წლის ბოლოს, გარდა უძრავი ქონებისა და საბიბლიოთეკო ფონდებისა, რომელთა აღწერა სავალდებულოა 3 წელიწადში ერთხელ მაინც. აღნიშნული ბრძანებით, აქტივების სხვადასხვა ჯგუფებისთვის განსაზღვრულია ინვენტარიზაციის ჩატარების რეკომენდებული ვადები.

პასუხისმგებელი პირის განმარტებით, 2016 წელს მარტვილის მუნიციპალიტეტში ინვენტარიზაცია არ ჩატარებულა. შესაბამისად, აუდიტის ჯგუფმა ვერ მოახერხა აქტივებისა და ვალდებულებების ფაქტობრივი ნაშთების დადგენა და მათი შედარება ორგანიზაციის სააღრიცხვო მონაცემებთან. აღსანიშნავია, რომ უძრავი ქონების ინვენტარიზაცია მუნიციპალიტეტმა განახორციელა 2015 წელს, შესაბამისად, 2016 წელს ხელახლა ჩატარება სავალდებულო არ იყო.

³⁴ 2016 წელს საწვავის ხარჯი არის სულ - 118.1 ათასი ლარი, მათ შორის, ბალანსზე რიცხულ ავტომანქანებზე გაიხარჯა 52.8 ათასი ლარის ღირებულები საწვავი.

გამოვლენილი გარემოების შედეგად დარღვეულია „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესის შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის №605 ბრძანება. აღნიშნული მიუთითებს იმაზე, რომ ორგანიზაციას სათანადო კონტროლი არ აქვს დაწესებული მატერიალური მარაგების, ასევე მცირეფასიანი აქტივების მოძრაობაზე. ასევე არ ხდება გამოუყენებელი აქტივების³⁵ გამოვლენა, აქტივებისა და ვალდებულებების შედარება ფაქტობრივ ნაშთებთან.

მუნიციპალიტეტის 2014-2015 წლების შესაბამისობის აუდიტის ანგარიშში დაფიქსირებულია ხარვეზი ინვენტარიზაციის პროცესთან დაკავშირებით, კერძოდ, აუდიტის მიმდინარეობისას ინვენტარიზაცია არ იყო დამთავრებული და შედეგები (მეტობა ან დანაკლისი) გამოყვანილი.

რეკომენდაცია №4: სამართლიანი და უტყუარი ფინანსური ანგარიშგების მომზადების მიზნით, მარტვილის მუნიციპალიტეტმა (შესაბამისმა პასუხისმგებელმა პირებმა) გონივრულ ვადაში მოაწესრიგოს საბუღალტრო აღრიცხვა და ასახოს შესაბამისი ინფორმაცია ფინანსურ ანგარიშგებაში აუდიტის ანგარიშში აღნიშნული შენიშვნების გათვალისწინებით. მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობამ უზრუნველყოს ისეთი მექანიზმის დანერგვა, რომ სტრუქტურულ ერთეულებს ჰქონდეთ მუდმივი და გამართული კომუნიკაცია, რათა საბუღალტრო სამსახურს დროულად და სრულად მიეწოდოს ბუღალტრული აღრიცხვისათვის აუცილებელი ინფორმაცია და დოკუმენტები. შედეგად, ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებს საშუალება ექნებათ მიიღონ სრულყოფილი ინფორმაცია მარტვილის მუნიციპალიტეტის ფინანსური მდგომარეობის შესახებ.

რეკომენდაცია №5: მუნიციპალიტეტმა (შესაბამისმა პასუხისმგებელმა პირებმა) განახორციელოს ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაცია კანონმდებლობით დადგენილი წესით, რაც უზრუნველყოფს აქტივებისა და ვალდებულებების ფაქტობრივი ნაშთების დადგენას და მათ შედარებას ორგანიზაციის სააღრიცხვო მონაცემებთან. შედეგად, შესაძლებელი იქნება ინვენტარიზაციის შედეგების (მეტობა ან დანაკლისი) დადგენა და შესაბამისი მატერიალურად პასუხისმგებელი პირების გამოვლენა.

3. შიდა აუდიტი

კრიტერიუმი: მარტვილის მუნიციპალიტეტში 2014 წლიდან ფუნქციონირებს შიდა აუდიტის სამსახური. სამსახური თავის საქმიანობას წარმართავს „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად. შიდა აუდიტის სამსახური საქმიანობას ახორციელებს აუდიტის სუბიექტის უფროსის მიერ შემუშავებული, სტრატეგიული გეგმის მიხედვით, რომელსაც ამტკიცებს დაწესებულების ხელმძღვანელი. სტრატეგიული გეგმა გამომდინარეობს დაწესებულების გრძელვადიანი მიზნებიდან, მოიცავს სამწლიან პერიოდს და განსაზღვრავს შიდა აუდიტის სფეროში სტრატეგიული განვითარების მიმართულებებს.

³⁵ გარდა უძრავი ქონებისა, რომელთა ინვენტარიზაციაც ტარდება სამ წელიწადში ერთხელ მაინც.

აუდიტის განხორციელებამდე, თითოეული შიდა აუდიტორული შემოწმებისათვის შემუშავებული, დამტკიცებული და ობიექტისთვის გაგზავნილი უნდა იყოს აუდიტორული შემოწმების ინდივიდუალური გეგმა.

შიდა აუდიტის სამსახურის რეკომენდაციები უნდა დაეხმაროს ხელმძღვანელობას ორგანიზაციაში ჩამოაყალიბოს ისეთი სისტემები, რომელიც გააუმჯობესებს ფინანსების მართვას, ორგანიზაციის აქტივების დაცვას, ბუღალტრული აღრიცხვის სათანადო წარმოებას და სხვ. ორგანიზაციის ხელმძღვანელი, თავის მხრივ, უზრუნველყოფს შიდა აუდიტორულ ანგარიშში ასახულ რეკომენდაციებზე შესაბამის რეაგირებას.

გარემოება: აუდიტის ჯგუფმა შეისწავლა შიდა აუდიტის სამსახურის საქმიანობა, შედეგად გამოვლინდა გარკვეული ხარვეზები, კერძოდ:

- ❖ კანონმდებლობის მიხედვით, მუნიციპალიტეტს უნდა ჰქონდეს შიდა აუდიტის სტრატეგიული გეგმა. მარტვილის მუნიციპალიტეტს აღნიშნული დოკუმენტი არ მოუმზადებია. მიზანშეწონილია, მუნიციპალიტეტმა განსაზღვროს შიდა აუდიტის სფეროში სტრატეგიული განვითარების მიმართულებები.
- ❖ წარმოდგენილი ინფორმაციით შიდა აუდიტის სამსახურის მიერ აუდიტორული შემოწმების ინდივიდუალური გეგმები არ მომზადებულა, თუმცა ინფორმაცია, რაც აღნიშნულ დოკუმენტში უნდა იყოს, ნაწილობრივ ასახულია სამსახურის მიერ მომზადებულ სხვა დოკუმენტებში (წლიური გეგმა, აუდიტის ანგარიში). მიზანშეწონილია, სამსახურმა შეიმუშაოს და დაამტკიცოს ინდივიდუალური გეგმები, რომლითაც განსაზღვრული იქნება შიდა აუდიტის მოქმედების სფერო, ამოცანები, ხანგრძლივობა, რესურსების განაწილება, შიდა აუდიტის განხორციელების მეთოდები, ფარგლები, აუდიტის სახე და სხვ.
- ❖ შიდა აუდიტის სამსახურის მიერ მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით, 2016 წელს შემოწმებული 10 ობიექტიდან რეკომენდაციები სრულად არ გაითვალისწინა ორმა ობიექტმა. მიზანშეწონილია, სამსახურმა ანგარიშის პროექტის გაგზავნისას, აუდიტის ობიექტისთვის გონივრული ვადის მითითებით, მოითხოვოს რეკომენდაციების შესრულების სამოქმედო გეგმა. აუდიტის ობიექტისგან მიღებული სამოქმედო გეგმა აუდიტის ანგარიშთან ერთად უნდა წარედგინოს მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელს.
- ❖ 2016 წელს გამგეობის სტრუქტურული ერთეულებიდან შიდა აუდიტის სამსახურს შესწავლილი აქვს მხოლოდ საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის საქმიანობა. შედეგად, სამსახურს 2016 წელს არ შეუფასებია, შეესაბამებოდა თუ არა მთლიანად მუნიციპალიტეტის საქმიანობა დაგეგმილ მიზნებსა და ამოცანებს, დანერგილი იყო თუ არა ადეკვატური მართვისა და კონტროლის მექანიზმები და სხვ.

აღნიშნული ხარვეზი დაფიქსირებული იყო მუნიციპალიტეტის 2014-2015 წლების საქმიანობის შესაბამისობის აუდიტის ანგარიშშიც, რომლის მიხედვით სამსახურს ჩატარებული არ ჰქონდა არცერთი სტრუქტურული ერთეულის აუდიტი. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ანგარიშის დამტკიცების შემდეგ მდგომარეობა ნაწილობრივ

გამოსწორდა. წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, 2017 წლის მდგომარეობით შიდა აუდიტის სამსახურს შემოწმებული აქვს გამგეობის ოთხი სამსახური.

- ❖ 2016 წელს შიდა აუდიტის სამსახურმა ჩაატარა გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის 2015 წლის ფინანსური და ეფექტიანობის აუდიტი. აუდიტის ანგარიშის მიხედვით შიდა აუდიტმა სხვა საკითხებთან ერთად შეისწავლა ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების შესაბამისობა მოქმედ ნორმებთან. აღსანიშნავია, რომ იგივე პერიოდი შეამოწმა სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა, რომლის ანგარიშის მიხედვით, 2015 წელს პირველადი დოკუმენტების საფუძველზე არ იყო შესრულებული ბუღალტრული გატარებები, შედგენილი მემორიალური ორდერები, ნაშთები გადატანილი არ იყო მთავარ წიგნში, შედგენილი არ იყო ფინანსური ანგარიშგებები. აღსანიშნავია, რომ შიდა აუდიტის სამსახურს არ გამოუვლენია და ანგარიშში არ აუსახავს აღნიშნული დარღვევები.

მიზანშეწონილია, შიდა აუდიტის სამსახურმა თავისი საქმიანობა სრულად მოიყვანოს მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობაში, რათა ხარვეზების გარეშე, ორგანიზებული და სისტემატიზებული მიდგომით განხორციელოს დამოუკიდებელი, ობიექტური, მარწმუნებელი და საკონსულტაციო საქმიანობა. აღნიშნული ხელს შეუწყობს რისკის მართვის, კონტროლისა და მმართველობითი პროცესის ეფექტიანობის გაუმჯობესებას. ორგანიზაციის ხელმძღვანელმა შიდა აუდიტორულ ანგარიშში ასახულ რეკომენდაციებზე უზრუნველყოს შესაბამისი რეაგირება.

4. მარტვილის მუნიციპალიტეტში წინა პერიოდში ჩატარებული აუდიტის შედეგად გამოვლენილი დარღვევა-ნაკლოვანებების გამოსწორების მდგომარეობა

2016 წელს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ ჩატარდა მარტვილის მუნიციპალიტეტის 2014-2015 წლების საქმიანობის შესაბამისობის აუდიტი, რომლის შედეგად გამოვლინდა სხვადასხვა სახის დარღვევა-ნაკლოვანება.

მარტვილის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ფინანსური ანგარიშგების ფინანსური აუდიტის და 2016 წელს „წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსების“ (პროგრამის კოდი: 01.00) პროგრამის ფარგლებში გაწეული ხარჯების შესაბამისობის აუდიტის მიმდინარეობისას, მუნიციპალიტეტის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით გაირკვა, რომ ღონისძიებები გატარებულია შემდეგი დარღვევა-ნაკლოვანების გამოსასწორებლად, კერძოდ:

- ❖ 2015 წელს მუნიციპალიტეტის მიერ შესყიდვების განხორციელების დროს დადებულ ხელშეკრულებებში არ იყო გათვალისწინებული მიმწოდებლების მიერ ხელშეკრულების შეწყვეტისათვის საჯარიმო სანქცია. აუდიტის ანგარიშის თანახმად, რეკომენდაციის გაცემის შემდეგ გამგეობა სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულებების გაფორმებისას ითვალისწინებს პირგასამტეხლოს ხელშეკრულების შეწყვეტისთვის.

- ❖ 2013-2014 წლებში სოფელ აბედათსა და სოფელ სერგიეთში ისე მიმდინარეობდა საბავშვო ბაღების მშენებლობა, რომ მიწა, სადაც შენდებოდა შენობები, მუნიციპალიტეტის საკუთრებას არ წარმოადგენდა. აუდიტის მიმდინარეობის პერიოდისთვის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში დარეგისტრირდა სერგიეთის ბაღის ტერიტორია, ხოლო სოფელ აბედათის ბაღის მიწის ნაკვეთის საკუთრებაში დასარეგისტრირებლად დაწყებულია შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება.
- ❖ 2017 წელს ჩატარებული შესყიდვებით დასრულდა ოთხი საბავშვო ბაღის სარეაბილიტაციო სამუშაო. პასუხისმგებელი პირის განმარტებით, სოფელ გაჭედილში საბავშვო ბაღი ფუნქციონირებს, ხოლო სოფელ ინჩხურში, სერგიეთში და თამაკონში საბავშვო ბაღები ფუნქციონირებას დაიწყებს 2018 წელს, შესაბამისი ინვენტარით უზრუნველყოფის შემდეგ.

სურათი 1. სოფელ ინჩხურის საბავშვო ბაღი



სურათი 2. სოფლების სერგიეთის და თამაკონის საბავშვო ბაღები



- ❖ მუნიციპალიტეტს მიეცა რეკომენდაცია განეხილა ა(ა)იპ-ებში დასაქმებულთა შტატების ოპტიმიზაციის საკითხი. წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, მარტვილის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული ა(ა)იპ-ების შტატები შემცირდა 13 ერთეულით.
- ❖ 2014-2015 წლებში გამარტივებული შესყიდვის საშუალებით შეძენილი 2 509.6 ათასი ლარის სამშენებლო სამუშაოების ღირებულება მიმწოდებლებზე ანაზღაურებული იყო ფაქტობრივი დანახარჯის დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარმოდგენის გარეშე. წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, 2016 წლიდან, სამუშაოების ღირებულების ანაზღაურებისას მოთხოვნილია ფაქტობრივი დანახარჯის დამადასტურებელი დოკუმენტები, ხოლო რაც შეეხება 2014-2015 წლებში ანაზღაურებულ სამუშაოებს, მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ მოთხოვნილ იქნა შესაბამისი დოკუმენტაცია და მიმდინარეობს დანახარჯების დათვლის პროცედურები. მიუხედავად იმისა, რომ მარტვილის მუნიციპალიტეტის 2014-2015 წლების საქმიანობის შესაბამისობის აუდიტის ანგარიში დამტკიცდა 2016 წლის 6 ივნისს, გაანგარიშება დასრულებული არ არის.
- ❖ 2014-2015 წლებში შიდა აუდიტის სამსახურს არ ჩაუტარებია გამგეობის სტრუქტურული ერთეულების (სამსახურების) საქმიანობის აუდიტორული შემოწმება. წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, 2016-2017 წლებში შიდა აუდიტორული შემოწმება ჩატარდა, როგორც მუნიციპალიტეტების მიერ დაფუძნებულ ა(ა)იპ-ებში, ასევე გამგეობის ოთხ სამსახურში.
- ❖ მუნიციპალიტეტმა და საფეხურთო კლუბმა - შპს „მერანმა“ 2013 წელს დააფუძნა შპს „მარტვილი ცენტრალ გრუპი“, რომლის კაპიტალში პარტნიორების შენატანები მუნიციპალიტეტის მხრიდან განისაზღვრა 600.0 ათასი ლარით, ხოლო შპს „მერანის“ მხრიდან - 152.2 ათასი ლარის ღირებულების მიწის ორი ნაკვეთით. მუნიციპალიტეტმა 615.6 ათასი ლარი დახარჯა მარტვილის ცენტრალური სტადიონის რეაბილიტაციისთვის, რომელიც შპს „მერანის“ საკუთრება იყო. პასუხისმგებელი პირის განმარტებით, შპს „მარტვილი ცენტრალ გრუპში“ მუნიციპალიტეტის მიერ ფულადი და ქონებრივი შენატანი არ ფიქსირდება, ასევე არ არსებობს დოკუმენტაცია, თუ რა ფორმით ან რა ვადით მოხდა სტადიონის გადაცემა შპს „მარტვილი ცენტრალ გრუპისათვის“. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ არც შპს „მერანის“ მხრიდან არ მომხდარა მისი კუთვნილი უძრავი ქონების (ორი მიწის ნაკვეთის) შპს „მარტვილი ცენტრალ გრუპის“ კაპიტალში შეტანა. მუნიციპალიტეტმა დაიწყო აღნიშნული საკითხის შესწავლა და წერილობით მიმართა შპს „მარტვილი ცენტრალ გრუპს“ და შპს „მერანს“, შესაბამისი დოკუმენტაციის მოწოდების მოთხოვნით³⁶.
- ❖ 2014-2015 წლებში მუნიციპალიტეტის განკარგულებაში არსებული გრეიდერი გაქირავდა მუნიციპალიტეტის სხვადასხვა მიმწოდებელზე. 2014 წელს მისი ექსპლუატაციის დროს არასათანადო კონტროლის გამო მუნიციპალიტეტმა შესაძლოა ვერ მიიღო დაახლოებით 5.8 ათასი ლარის შემოსავალი. პასუხისმგებელი პირის განმარტებით, გრეიდერის

³⁶ 2017 წლის წერილები №1337, №1338 და №1673.

გაქირავებისას ქირის გადახდის ქვითრის წარმოდგენა ხდება წინასწარ. ამასთანავე, კონტროლს გრეიდერის გაქირავების პროცესზე ახორციელებს ა(ა)იპ „მარტვილის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ცენტრის“ სპეცტექნიკების ზედამხედველი.

- ❖ 2014-2015 წლებში შტატგარეშე მოსამსახურეებზე პრემია - 2.5 ათასი ლარი გაიცა ისე, რომ მათთან გაფორმებული ხელშეკრულებები არ ითვალისწინებდა წახალისებას. პასუხისმგებელი პირის განმარტებით, 2017 წლიდან შტატგარეშე მოსამსახურეებზე პრემია აღარ გაცემულა.
- ❖ 2015 წლის ბოლოს მუნიციპალიტეტის ანგარიშებზე დაფიქსირდა ნაშთი 1 406.8 ათასი ლარის ოდენობით. მუნიციპალიტეტს მიეცა რეკომენდაცია ფინანსური რესურსების რაციონალური მართვის უზრუნველყოფის მიზნით, საკუთარ ანგარიშზე არსებული ფულადი სახსრები მიემართა სხვადასხვა პროექტის განსახორციელებლად. წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, 2017 წლის 1 იანვრისათვის მუნიციპალიტეტის ანგარიშზე არსებულმა ფულადი სახსრების ნაშთმა შეადგინა 624.8 ათასი ლარი, საიდანაც 591.7 ათასი ლარის ხარჯვა დაიგეგმა 2017 წლის დამტკიცებული ბიუჯეტით.
- ❖ მუნიციპალიტეტის ბუღალტრულ ნაშთებში (ქონების ჩამონათვალში) ირიცხება ისეთი უძრავი ქონება, რომელიც საჯარო რეესტრში მუნიციპალურ საკუთრებად დარეგისტრირებული არ არის. წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, მუნიციპალიტეტმა 2016 წელს შეისყიდა საკადასტრო ნახაზების დამზადების მომსახურება³⁷ და დაწყებული აქვს ღონისძიებები აღნიშნული ქონების საჯარო რეესტრში დარეგისტრირებისათვის.

მუნიციპალიტეტის მიერ სათანადო რეაგირების გარეშე დარჩა ან არ გამოსწორებულა აუდიტის ანგარიშში ასახული შემდეგი დარღვევა-ნაკლოვანებები:

- ❖ 2016 წლის 1 იანვრისათვის მუნიციპალიტეტის საკუთრებად საჯარო რეესტრის მიერ დარეგისტრირებული იყო 13 011 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის 22 ნაკვეთი. აღნიშნული ქონება მუნიციპალიტეტის მიერ არ არის შეფასებული და შესაბამისად, ასახული მუნიციპალიტეტის ბალანსში.
- ❖ მუნიციპალიტეტის ტერიტორიული ორგანოების ადმინისტრაციულ შენობებში არსებულ 732 კვ.მ ფართობი სხვადასხვა ორგანიზაცია ისეა განთავსებული, რომ მათზე ფართები გადაცემული არ არის საიჯარო ხელშეკრულებით. შედეგად, მუნიციპალიტეტი ვერ იღებს შემოსავალს.
- ❖ 2014-2015 წლების შესაბამისობის აუდიტის ანგარიშში დაფიქსირდა, რომ 2015 წელს საკრებულოს წევრებისთვის, რომლებიც არ არიან თანამდებობის პირები, ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტაციის გარეშე ანაზღაურებულია 67.9 ათასი ლარი. აუდიტის ანგარიშში ხარვეზის დაფიქსირების მიუხედავად, აღნიშნული პროცესი მუნიციპალიტეტს არ მოუყვანია მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობაში და აგრძელებს არსებულ პრაქტიკას, კერძოდ: 2016 წელს ხარჯის დამადასტურებელი

³⁷ 2016 წლის №160 ხელშეკრულება.

დოკუმენტაციის წარმოდგენის გარეშე საკრებულოს წევრებს, რომლებიც არ არიან თანამდებობის პირები, აუნაზღაურდათ 85.7 ათასი ლარი, ხოლო 2017 წელს, 13 ოქტომბრის მდგომარეობით - 66.4 ათასი ლარი.

- ❖ საკრებულოს მიერ დამტკიცებული ლიმიტის მეშვეობით, 2014-2015 წლებში, გარდა მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ავტომანქანებისა, საწვავი გაიცემოდა საკრებულოს ანაზღაურებად და არაანაზღაურებად წევრებზე, ტერიტორიულ ორგანოებში მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებზე, სამსახურის და განყოფილების უფროსებზე, აგრეთვე სხვადასხვა თანამშრომლებზე, სულ 76 პირზე. წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, 2017 წლიდან ლიმიტები დამტკიცებულია მხოლოდ თანამდებობის პირებზე და გამგეობის კომისიებზე. მუნიციპალიტეტის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, 2017 წლის 17 ოქტომბრის მდგომარეობით, საწვავი გაიცემა მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ ექვს ავტომანქანაზე და თანამშრომლების საკუთრებაში არსებულ 23 ავტომანქანაზე.
- ❖ მოქმედი კანონმდებლობით მუნიციპალიტეტის მიერ დაქირავებული შტატგარეშე პირების რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს საკრებულოს აპარატის და გამგეობის თანამშრომლების რაოდენობის 10%-ს. 2014-2015 წლების შესაბამისობის აუდიტის ანგარიშში დაფიქსირებულია ხარვეზი, რომლის მიხედვით, მუნიციპალიტეტი არღვევდა აღნიშნულ მოთხოვნას და ხელშეკრულებით დაქირავებული პირების რაოდენობა ნაცვლად 13-ისა იყო 16-21. მუნიციპალიტეტს არ მოუყვანია აღნიშნული საკითხი მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობაში და არსებული მიდგომა უცვლელი დარჩა 2016 წელსაც, კერძოდ, 2016 წელს 14 შტატგარეშე მოსამსახურის ნაცვლად, მუნიციპალიტეტს დაქირავებული ჰყავდა 17-19 მოსამსახურე.
- ❖ მუნიციპალიტეტის 2014-2015 წლების შესაბამისობის აუდიტის მიმდინარეობისას ინვენტარიზაცია არ იყო დამთავრებული და შედეგები (მეტობა ან დანაკლისი) გამოყვანილი. დაფიქსირებული იყო მხოლოდ ერთი „ნოუტბუქის“ და ორი მობილური ტელეფონის დანაკლისი, სულ ნარჩენი ღირებულებით 1.1 ათასი ლარი. მუნიციპალიტეტს არ გაუტარებია სათანადო ღონისძიებები გამოვლენილ დანაკლისზე რეაგირებისთვის, მხოლოდ „ნოუტბუქის“ მფლობელს მიმართა წერილობით დაბრუნების თხოვნით, ხოლო 2016 წელს ინვენტარიზაცია საერთოდ არ ჩატარებულა.

აუდიტის ანგარიშის გასაჩივრების წესი

საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, აუდიტის ანგარიში ჩაბარებიდან 20 დღის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს სახელმწიფო აუდიტის სამსახურში.

აუდიტის ჯგუფის წევრების ხელმოწერები

უფროსი აუდიტორი

თეა არველაძე

ხელმოწერა



თარიღი

09.01.2018

აუდიტორი

თეა უდესიანი

ხელმოწერა



თარიღი

09.01.2018

აუდიტორი

თათია ამბროლაძე

ხელმოწერა



თარიღი

09.01.2018

აუდიტორ-ასისტენტი

შალვა ბუცხრიკიძე

ხელმოწერა



თარიღი

09.01.2018

